



# არსენალი



საქართველოს  
ბიზნესი

23 (66), 14 - 27 ნოემბერი, 2008. ფასი 1,5 ლარი. კვირის კალიბრაჟი. სახელმწიფო-ენალიზაციური ჟურნალი

**ტარს არს ერთი  
ართული მოიერიზე და  
ვეულფორანი  
რ ჩამოვადია!**

14 25  
2008

**ოდესას  
ეზერტირი  
ანაგულს ვერ  
ქნობიარებს...**




**როგელი ძვეყნის  
საეხსამსაზრეზი იქექეზა  
კომპრომატების სკივრეზი**



როგორი ქვეყნის  
სახსრსახსური  
იქნება  
ქოვროვაგვის  
სივრეში

19



...როდესაც  
ღუბარბირი  
ღანაგუღს  
ვერ  
ახსოვნირებს...

10



გვირს არც ერთი  
ქართული მოიერივე  
და ვვეულგურიანი  
არ ჩაგოვღია!

5

რუსეთის სახედრო-  
საჰაერო ძალების  
გამანადგურებელი  
ავიაცი

23



Cy-33



რუსმა  
ვეზგავერება  
ვეღვეღვი  
გაახსურეს

49



წმი ვეზრიღან  
პირველივე  
გასროლით  
თავში!

53



# სარჩევი

## კალიგრაფია

4 ახალი ამბები

## მუსიკა

5 მტერს არც ერთი ქართული მოიერიშე და შეუღმფრენი არ ჩამოეგდია!

## დინამიკური და სპორტი

10 ...როდესაც დუხერტირი საყუარს დანაშაულს ვერ აცნობიერებს...

## მოსაზრება

13 ომის შემდგომი ანალიზი და რეკომენდაციები

## გამოხატვა

15 ჰატარა ქვეყნებმა გამანადგურებელი ავიაციის ნაცვლად ჰაერსაინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებზე უნდა იზრუნო

## საინფორმაციო

19 რომელი ქვეყნის სპეცსამსახური იქელება კომპრომატების სეივრში

## მხარის სახეზე უნდა იყო

23 რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელი ავიაცია

## ოქანის მსოფლიო ისტორია

39 ჯავაღრიის როლი შუა საუკუნეებში

## დანიის ისტორია

42 სარაქეო ფარი რუსულად

## საეკონომიკური

46 რუსეთის არმიის ავტომობილები ქართულ-რუსულ ომში

## ფიქრი

49 რუსმა მეზღვაურებმა მედვედევი გააცურეს

## კრწანული

52 არსენატვორი

## არსენალის ისტორიის მარტივი

53 600 მეტრიდან პირველივე გასროლით თავში



# არსენალი საგაზაფხულო

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საკადრო ცვლილებების პირველი ეტაპი დამთავრდა. აგვისტოს მოვლენების შემდეგ ეს აუცილებელი იყო. ცვლილებებში, ძირითადად, გაერთიანებულ შტაბს შეუბო და არა თავდაცვის მინისტრის. თანამდებობებზე დატოვეს გაერთიანებული შტაბის უფროსმა, მისმა რამდენიმე მოადგილემ, სახმელეთო ჯარების საზღვაო და დეპარტამენტების უფროსების ნაწილმა.

აგვისტოს მოვლენებმა ცხადყო, რომ თავდაცვის მინისტრი და გაერთიანებული შტაბის უფროსი ერთად ვეღარ იმუშაებდნენ.

აგვისტოს ომმა ისიც ცხადყო, რომ იმ მძიმე დღეებში ჯარს ნამდვილად აკლას გამოცდილი ოფიცრები, რომლებიც მცდარი საკადრო პოლიტიკის გამო 2004-2005 წლებში დაითხოვეს.

იმედია, ამ მწარე გაკვეთილის შემდეგ მაინც უფრო სერიოზულად მიუდგებიან საკადრო საკითხს მთავარ სამხედრო უწყებაში.

ირაკლი ალადაშვილი  
გიორგი შორაშვილიანი

ყურადღება!  
გამოიწერეთ „არსენალი“  
და მიიღეთ შინ,  
ორ ჯვირაში ერთხელ!  
ტელ: 38-26-74;  
38-26-73

რედაქციის დაუყოთხავად  
მასალების გადაბეჭდვა  
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად  
10.11.2008

გაზეთ „ჯვირის პალიტიკის“  
დამატება ©  
რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებძის ქ. №49.  
ტელ: 38-37-47  
email: arsenalali@kvririspalitra.com  
ქურნალი გამოდის  
ორ ჯვირაში ერთხელ

# შვეიცია და ნორვეგია „არჩერს“ სრულყოფენ

შვეიცია და ნორვეგიის სპეციალისტები ერთად სრულყოფენ საარტილერიო მართავად სისტემა „არჩერს“. შეთანხმება, რომელსაც ორველ ქვეყნის თავდაცვის სტრუქტურების წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი, ასევე ითვალისწინებს ნორვეგიული ფირმა KONGSBERG-ის წარმოებული საბრძოლო მართავად მოდულების „არტექტორების“ შექმნას. შეუდური არმია პაუზიცა „პაუზისის“ ალტერნატიულ შემცველს 1990 წლიდან ექვს. ამ ხნის განმავლობაში გამოცდა რამდენიმე უცხოური ნიმუში, მაგრამ დიდი ფასის გამო ზოგიერთზე სამუხრად ხელშეწყობა უარი თქვა, ზოგიერთი კი შეუდების მითხუნას არ პასუხობდა. არჩევნი შეჩერდა 155-მილიმეტრიან საარტილერიო სისტემა „არჩერზე“. მას ფასიც არც ისე მაღალი აქვს, — მის ასაწყოებად სხვა დეტალებთან ერთად მოხვედრული „პაუზისის“ ნაწილებიც გამოიყენეს. ამასთან, „არჩერი“ დაყენებულია შეუდური წარმოების „კოლიუს“ მარკის ავტომობილზე. მანქანას აქვს ნაღებისა და ნამსხვრევებისგან დამცვეი, რაც მაქსიმალურ უსაფრთხოებას უქმნის ეკიპაჟს, რომელიც 3-4 კაციდან შედგება. „არჩერის“ სროლისთვის მომზადებას პოზიციაზე 30 წამი სჭირდება, ამასთან, არტილერიისტებს არ სჭირდებათ კაბინიდან გადმოსვლა, რადგან საბრძოლო მასალის მიწოდება ავტომატურად ხდება. „არჩერის“ არტსისტემა შეუდლა წუთში 75 ზალას გაკეობა, მიხნის 50კმ-ის სიშორეზე განადგურება და 40 საბრძოლო მარაგისგან შემდგარი საბრძოლო კომპლექტის გადატანა, რომელთაგან 20 ავტომატურ მჭვიშია. საბრძოლო მოდული „არტექტორი“ ამერიკული CROWS II-ის ანალოგია. ორვე ქვეყნის სამხედროების გვემის მიხედვით, არტსისტემების შესაძლებლობები გაიზრდება, რაც არტილერიისტებს საშუალებას მისცემს აღმოაჩინონ მიზანი ისე, რომ მანქანიდან არ გადმოვიდნენ. საარტილერიო მართავად სისტემა, რომელიც ჯერჯერობით არც ერთი ქვეყნის შეიარაღებაში არ არის, არა მარტო ნორვეგიისა და შვეიციის ყურადღებას იქცევს. მისი შექმნა განზრახული აქვთ დანიას, ავსტრალიას, ზორვატას, ინდონეზიას და კანადას. სისტემის სრულიყოფა მუშაობა, საჯაროდ დიდ, 2010 წლამდე დამთავრდება, 2011 წლის შემოდგომიდან კი დაიწყება სერიული საარტილერიო სისტემების ჯარებისთვის მიწოდება.



# თურქებმა ახალი საიერიშო შაშხანა აირჩიეს

თურქეთის არმიის შეიარაღებაში ახალი საიერიშო შაშხანა Mehmetcik-1 — მოდულური კარაბინი HK416 შვეც, რომელსაც მახასიათებლები M4 და XM8-ისგან აქვს ნახესხები. თავის დროზე, ორვე შაშხანა აშშ-ის სახმელეთო ჯარებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ მათ მასობრივ გამოყენებაზე ამერიკელებმა უარი თქვეს. შაშხანა გერმანული ფირმა HECKLER&KOCH-თან ერთად შექმუდა. 5,56-მილიმეტრიან საიერიშო შაშხანა Mehmetcik-1-ს, ისევე როგორც მის წინამორბედ XM8-ს, M16-თან ის უპირატესობა აქვს, რომ ლულის მოკლესვლიანი დგუმის სისტემა აქვს, რაც ავტომატიკაზე საიმელოა დენთვის აირების გამო. ამასთან, ასეთი კონსტრუქცია სწრაფად არ ცვეთს ნაწილებს. კონსტრუქტორების აზრით, შაშხანა არ საჭიროებს ზედმეტ მოვლას, უფრო საიმელოა და დიდხანს არ გამოდის მწყობრიდან. როგორც იუწყებთან, თურქმა სამხედროებმა 9000 საიერიშო შაშხანა Mehmetcik-1 მიიღეს. ისინი ერთ-ერთმა ადგილობრივმა საწარმოში გამოიშვა და გამოცდის შედეგების მიხედვით მითხუნენებს საესებით პასუხობს. საიერიშო შაშხანა XM8-ის გამოყენებაზე აშშ-ის სამხელეთო ჯარებმა 2005 წელს თქვეს უარი. კონსტრუქტორმა ამ იარაღის ძირითადი კომპონენტები შაშხანა M4-ში გამოიყენა და თავისებური პიბრიდი შექმნა, სახელწოდებით HK416. ამჟამად ამ იარაღს ამერიკული სპეცრაზმელები და ზოგიერთი პოლიციის დეპარტამენტი იყენებენ.







# გზის არს ერთი ქართული მოიარჩე და შეუღებანი არ ჩაყოფიან!



ოთხმა ქართულმა Cy-25-მა რუსების ჯავშანსატანკო კოლონას 24 ცალი 250კგ-იანი ბომბი დააყარა...



გაუპართაობის გამო აეროდრომზე მოუწია დაბრუნება და საბრძოლო დავალების შესრულება 4 მოიერიშით გაგრძელდა.

დამრტყმელ საჰაერო ჯუფში ერთი „მიმინო“ იყო, ერთიც ორადგილიანი სასწავლო-საბრძოლო Cy-25YB.

ჯგუფში მოიერიშეები მიფრინავდნენ შვეობრით 2+3. ჯავახთან ახლოს, გზაზე, აღმოჩინეს რუსული ჯავშანსატანკო კოლონა, რომელშიც დაახლოებით 40-მდე ჯავშანტექნიკა და ამდენივე სატყვირო ავტომობილი შედიოდა.

თითოეული ქართული მოიერიშის შეიარაღებაში იყო ФАБ-250 ტიპის 6 ცალი 250კგ-იანი საავიაციო ბომბი, ორულუიანი 30მმ-იანი საავიაციო ქვე-

ქართული სამხედრო ავიაციის მოქმედება აგვისტოს ხუთდღიანი ომის დროს ისევე ბურუსითაა მოცული. ოფიციალური წრეები რატომღაც არ ჩქარობენ საზოგადოებას გააცნონ ქართველი მფრინავების მოქმედებები იმ მძიმე დღეებში...

აღმოჩნდა. დრო არ ითმენდა და ამიტომაც საბრძოლო დავალების შესასრულებლად ხუთი თვითმფრინავი გაფრინდა.

ჰაერში ერთ-ერთ მოიერიშეს საბორტე შეიარაღების მართვის სისტემის

„არსენალმა“ თავად მოიპოვა ინფორმაცია ქართული Cy-25 ტიპის მოიერიშეებისა და Ми-24 დამრტყმელი შვეულმფრინავების ეკიპაჟების მოქმედებაზე. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ამომწურავი ინფორმაცია, მაგრამ სინათლის სხივს მაინც შეიტანს ამ საიდუმლოებით მოცულ ბურუსში.

ქართული მოიერიშეების ჯგუფმა საბრძოლო გაფრენა 8 აგვისტოს დილადადრინდა შეასრულა. ამ მომენტისთვის უკვე არსებობდა ინფორმაცია როკის გვირაბიდან რუსული ჯავშანსატანკო კოლონების გამოსვლისა და ცხინვალისკენ წამოსვლის შესახებ.

ქართველმა პილოტებმა მოიერიშეები 8 აგვისტოს დილის 6:30 წთ-ზე ააფეთქეს. თავდაპირველად საბრძოლო გაფრენა 6 მოიერიშისგან შედგებოდა, მაგრამ ერთ თვითმფრინავს ძრავას ვამპებასთან დაკავშირებული პრობლემა



ქართულმა მოიერიშეებმა ერთ-ერთი ასეთი რუსული ჯავშანსატანკო დაბომბეს...

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული



ფოტოფაქტი: ქართული **გაეროს** Mi-24-ები ცხინვალის **სახსლავებს** (გადაღებულია მეღვრევის საგუშაგოდან). როგორც თვითმზილელები ამბობენ, ეს ორი რუსული სატიერთი „ურალი“ სოფელ ძვეერასთან ქართულმა Mi-24-ებმა 10 აგვისტოს დაწვეს



მები 250 ჭურვითა და ორი „აპერი-პერი“ კლასის ახლო მოქმედების მართვად რაკეტა P-60. მოიერიშებს ფიუნელაჟებთან ყველაზე ახლო პილონებზე ორეუ მხრიდან თითო-თითო საწვავის აუზი ПТВ-800 ჰქონდათ ჩამოკიდებული. მტრის ჯგუშანსატანკო კოლონის აღმოჩენისთანავე ერთ საბრძოლო შეხვალზე დაახლოებით 250მ სიმაღლიდან ჩამოჟარეს 24 საფიაციო ბომბი (ერთმა მოიერაშემ მორე საბრძოლო შეხვალც გააკეთა).


რა თქმა უნდა, რუსული ჯგუშანკოლნა მთლიანად არ განადგურებულა, მაგრამ 10-მდე ტანკი, ჯგუშანქანა თუ სატიერთი ავტომობილი აფეთქდა ან გამოვიდა მწყობრიდან. 7 სთ-სა და 32 წთ-ზე ოთხეუ ქართული მოიერიშე თვითმფრინავი უდანაკარგოდ დაბრუნდა ბაზირების ადგილზე. ისინი სასწრაფოდ გააშზადეს ახალი საბრძოლო გაფრენისთვის — ავზები საავიაციო ნავით გაუქუსეს და პილონებზე ბომბები ჩამოჰკიდეს... მაგრამ ახალი

საბრძოლო გაფრენა აღარ შედგა, — ცხინვალის საბრძოლო მოქმედების რაიონიდან მოვიდა შეტყობინება, რომ ჰაერში რუსული ავიაგამანადგურებლები გაბატონდნენ. ასეთ შემთხვევაში მოიერიშე Су-25-ების გაგზავნა ახალ საბრძოლო დავალბაზე ქართველი პილოტების უთუო სიკვლილზე გაგზავნის ტოლფასი იქნებოდა, რადგან ცხინვალის თავზე მოდარაჯე რუსული ავიაგამანადგურებლებისთვის (სწორედ იმ დროს ან სტატის ავტორმა ცხინვალის მისადგო-

რუსი ოკუპანტების ჯავშანკოლონებს მარშის დროს ქართული ავიაციის შესაძლო დარტყმებისგან იცავდნენ შემდეგი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები: Стрела-10М, Оса-АК, Игла და Тунгуска (ეს უანასკნელი ჯავაზი ტოტებით იყო შენიღბული).







რუსული МНС — შარშომადგენლები ტყუილად იცინიან ისინი მათთვის, რუსული Су-25-ის ნამსხვრევებზე დგანან...



**რუსმა მეზენიტებმა შეცდომით არანაკლებ ორი თავისი Су-25 მოიერიშე ჩამოაგდეს (ერთი დადასტურებულია), რადგან 8 აგვისტოს დღის დაბოლოების შემდეგ მათ ყველგან ქართული მოიერიშეები ელანდებოდათ...**

მთან თავად დანახა წამით გამოჩინილი რუსული ავიაგამანადგურებელი, რომელიც მიГ-29 ან Су-27-ის ტიპისა იქნებოდა) იოლი ლუკმა გახვდებოდნენ.

ქართული მოიერიშეები სასწრაფოდ გადაძალეს აეროდრომის სხვადასხვა კუთხეში. მართალია, ეს აეროდრომი (მის მდებარეობას შეგნებულად არ ვახსენებთ), ისევე როგორც სხვა აეროდრომები, 8 აგვისტოსა და შემდგომ დღეებშიც რამდენჯერმე დაიბომბა, მაგრამ ქართული მოიერიშე თვითმფრინავები გადარჩნენ.

მოიერიშეების გარდა საბრძოლო გაფრენები შესრულეს ქართული Ми-24-ების ეკიპაჟებმაც. ისინი ცხინვლის თავზე ჯერ კიდევ 8 აგვისტოს დილით გამოჩნდნენ და მოქმედებდნენ ორ ჯგუფად, სკეპით 3+3.

ქართული Ми-24-ები შეიარაღებული იყვნენ 80 მმ-იანი კალიბრის С-80 ტიპის უმარათვი რაკეტების გასაშვები უნივერსალური ბლოკებით და 12,7მმ-იანი ტყვიამურქვევებით (ან 80მმ-იანი ქვემჭებით).

საერთო ჯამში მათ 8-9-10 აგვისტოს 4 საჰაერო შეტევა განახორციელეს.

ერთ-ერთი ინფორმაციით, სოფელ შერთულთან აფეთქებული და დაშვარი ორი რუსული სატიერო „ურალი“ სწორედ ქართული Ми-24-ების ანგარიშზეა.

რა თქმა უნდა, მკითხველისთვის უფრო საინტერესო იქნებოდა თითოეული ქართული მოიერიშისა თუ შეკულმფრენის საბრძოლო გაფრენების უფრო

დეტალური აღწერა, მაგრამ ჯერჯერობით თავდაცვის სამინისტრო თავს იკავებს.

და ა, მივედით მთავართან — ქართულ ავიაციას საბრძოლო დაჯილდების შესრულებისას დანაკლისი არ ჰქონია, ანუ არც ერთი ჩვენი მოიერიშე ან შეკულმფრენი მოწინააღმდეგეს პაეშში (მაქციეთ ვურადღება ამ სიტყვის მნიშვნელობას) არ დაუზიანებია და არც ჩამოუვლია.

რუსულ მასშედიამო ან ფორუმებზე კი დაუწინებთ ამტკიცებენ, რომ თითქოს ქართული სამხედრო ავიაცია რუსეთმა მთლიანად გაანადგურა, რაც შტეხარი სიცრუეა.

რუსი სამხედროებისთვის ან რუსი პატრიოტებისთვის დაუჯერებელია, რომ მათ ვერც ერთი ქართული მოიერიშე თვითმფრინავისა და შეკულმფრენის ჩამოვლდა ვერ შეძლეს, მაშინ როდესაც თავად რუსეთის ავიაციამ ქართულ ცაში ათზე მეტი საფრენი აპარატი დაკარგა



ასე გამოიყურებოდნენ ქართული AH-2-ები დაბომბვამდე



Cy-25-ემ მოიერიშემ წვედელაფრთხისას მიაყენა. აეროდრომზე მდგარი სატრანსპორტო AH-2-ების კენ მით ოთხოთხი რაკეტა გაუშვეს (საერაულოდ, კ. C-24 ტიპის მსხვილკალიბრიანი უმართავი რაკეტები იყო).

საჰაერო თავდასხმის შედეგად დაიწვა აეროდრომზე მდგარი სამი ქართული AH-2. სამწუხაროდ, რაკეტების ნანსხვრეებით დაიღუნენ ბორტინიენი

**მარნეული. აეროდრომზე რუსულმა Cy-25-ებმა და Cy-24M-ებმა 8 აგვისტოს ოთხჯერ მიიტანეს საჰაერო იერიში**



**მარნეულის აეროდრომის დაბომბვის შედეგად განადგურდა სამი AH-2 და ავტოტექნიკა. სამწუხაროდ დაიღუპა სამი სამხედრო მოსამსახურე**



და 5-7 მაინც დაუზიანდა (მართალია, რუსეთი დღესაც მხოლოდ ერთი Ty-22M3 ბომბდამშენისა და სამი Cy-25-ის დაკარგვას აღიარებს, მაგრამ რა ვუყოთ იმ Cy-24M-ის ნარჩენებს, რომელიც სოფელ ძვერაში დღესაც ვრია?!).

სამწუხაროდ, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალები მაინც დაზარალდა, მაგრამ ხმელეთზე, ქართული აეროდრომების დაბომბვებით.

8 აგვისტოს მარნეულის ბაზა ოთხჯერ დაბომბეს რუსულმა Cy-25 მოიერიშეებმა და Cy-24M საფრინტო ბომბდამშენებმა.

პირველი საჰაერო დარტყმა მარნეულის აეროდრომს ორმა რუსულმა





გარდა ამისა, ომის პერიოდში ავიაციის განვითარება და განიცადა ერთმა ქართულმა დამრტყმელმა შვეულმფრენმა (მტრის ცეცხლის ზემოქმედების გარეშე), საბედნიეროდ, ეკაპაუი გადარჩა.

აი, ის დანაკარგი, რაც ქართულმა სამხედრო ავიაციამ განიცადა ავვისტოს ომში და ისიც მხოლოდ ხმელეთზე, ამასთან, არ დაღუპულა არც ერთი ქართველი პილოტი...

ირაკლი ალადაშვილი

დამრტყმელი Ми-24B საბორტე ნომრით „05“-ი ომაბდე, დანვის მომენტში და ის, რაც მისგან დარჩა...

რუსულმა სადაზვერვო-დვიერსიულმა დანაყოფმა სენაკის აეროდრომზე სამი ქართული შვეულმფრენი განადგურა — ორი Ми-24 და ერთი Ми-14



ალბერტ ბალხამიშვილი, მძლავრი, სერჟანტი ნოდარ დევნიზაშვილი და ტექნიკოსი, უმცროსი სერჟანტი გიორგი ნანუაშვილი.

სატვირთო „კუკურუზნიკების“ ხმელეთზე განადგურება რუსი პილოტების ოსტატობას ბევრს არაფერს მატებს...

სენაკში რუსული საჰაერო-სადესანტო ჯარების სადაზვერვო-სადიერსო დანაყოფმა, რომელიც გაძლიერებული იყო ჯავშანტექნიკით, დაიპყრო სენაკის მე-2 ქვეითი ბრიგადის ბაზა და მის აეროდრომზე ააფეთქა და დაწვა სამი ქართული შვეულმფრენი — ორი დამრტყმელი Ми-24 და ერთი ამფიბია Ми-14. ეს უკანასკნელი უკვე დიდი ხანია აღარ დაფრინავდა. ჩვენი ინფორმაციით, Ми-24-ებსაც თითქმის ამოწურული ჰქონდათ ფრენის რესურსი...

სენაკის აეროდრომზე დამწვარი კოდეც ერთი ქართული შვეულმფრენის ნარჩენები



# ...როდესაც დეზაბიჩირი საკუთარ დანაშაულს ვერ ახსოვია...

„ჯარისკაცმა ბრძანების გარეშე პოზიცია არ უნდა დატოვოს“

აგვისტოს მოვლენების შემდეგ მიულმა მსოფლიომ გაიგო, რომ რუსეთის უზარმაზარ არმიას ქართველმა ჯარისკაცებმა მოსალოდნელზე ღრისული წინააღმდეგობა გაუწიეს. თუმცა, ჯერ იმ დღებშივე სამხედრო სფეროში არსებულმა სხვადასხვა პრობლემამაც იჩინა თავი. იყო ჩვენარდები როგორც მაღალი რანგის ემულიონებში, ასევე რიგითებისა და რუხერვისტების დონეზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემა დეზერტირობაა. თავდაცვის სამინისტრო არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, ქართულ არმიამ ახლობი დეზერტირის არსებობის თაობაზე. ოფიციალური უწყების ცნობით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სსკ-ის 389 მუხლით დაწვეულია და სასამართლოში წარგზავნილია სისხლის სამართლის საქმე 23 სამხედრო მოსამსახურეზე. მათ შორის: 6 კაპრალი, 2 სერჟანტი, 4 კაპიტანი, 4 ლეიტენანტი, 4 უფროსი ლეიტენანტი, 2 მაიორი, 1 ვიცე-პოლკოვნიკი. გამოძიების ინტერესებთან გამომდინარე, უწყება მათი ვინაობის დაკონკრეტებისგან თავს იკავებს. თავდაცვის სამინისტრო ასევე თავს იკავებს ინფორმაციის გაცემისგან, თუ როგორ წარმართება დანაშაულში ეჭვმიტანილია სასამართლო, ექნებათ თუ არა მათ ადვოკატის აცხადის უფლება და ა.შ.

„არსენალი“ ნამდვილად არ აპირებს დეზერტირების ადვოკატობას და დაცვას. თუმცა ქვეყანაში, სადაც უკანასკნელ 60 წელი ეს მცენება დედაქალაქის გულში არსებულ საფეხლოაიდ ცნობილ ბაზართან იყო ასოცირებული და შესაბამისად, გაუფასურებული, ძნელია საზოგადოებას სწორი რეაქცია მოსთხოვო ამა თუ იმ სამხედროს მიერ ჩადენილ დანაშაულზე. მით უფრო, რომ თავად დეზერტირი (დეზერტირობაში ბრალდებული) საკუთარ დანაშაულს ვერ აცნობიერებს და საკუთარი ქმედების სხვადასხვა მიზეზებით გამართლებას ცდილობს. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დეზერტირობა ფაქტობრივად სამ-



შობლოს ღალატს უტოლდება და ამიტომ ამ სტატუსით პირუვნების „დაჯილდოება“ განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. ქვემოთ მოყვანილ პუბლიკაციაში ვეცდებით გუარკვიოთ, თუ რას ფიქრობს დეზერტირობაში ბრალდებულ სამხედრო და რით იმართლებს თავს. აქვე მოყვანილია საპირისპირო მხარის არგუმენტები და მოსაზრებები.

**მოზარი, 24 წლის, კონტრაქტორი:**  
— ცხინვალში შესვლისას ბიჭებს მაგარი მოტოვაცია გვქონდა. 9 აგვისტოს, როცა დროებითი მორატორიუმი გამოცხადდა, შემდეგ კი პრეზიდენტმა თქვა, ცალმხრივად ვწვევტ ცეცხლს, ჩვენს ნაწილში სრული ბარდავი დაიწყო. მეთაურები ურთიერთგამომრიცხავ ბრძანებებს იძლეოდნენ, მეურ კი მათ-

**მუხლი 389. დეზერტირობა (28.04.2006. 2937)**

1. დეზერტირობა, ესე იგი სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით ანდა ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობა,-  
ისევება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
  - ა) სამსახურებრივი სარგებლობისათვის მინდობილი იარაღი;
  - ბ) ჯგუფურად,-  
ისევება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

შენიშვნა: სამხედრო მოსამსახურე, რომელიც პრეველად ჩაიდენს ამ მუხლის პრეველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი მასუხისმგებლობისაგან, თუ დეზერტირობა გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.





თან დაკავშირება ვეღარ ვაზერხებდით. რა ციხეა ან არ ვარგოდა, ან ხარკუებზე ჰქონდა და ერთმანეთის ხმა არ გვესმოდა. ოცეუთაურს ვკითხეთ, რა ვქნათო, მაგრამ ის ჩვენზე მტრად დაბნეული იყო, უკან დახვევის ან ბრძოლის ველიდან გასვლის არანაირი ტაქტიკა და სტრატეგია არ ჰქონდა... ფეხდაკარგული იყო, — რა ვიცო, ბიჭები ამბობენ, სარდლოზე უკვე დასულაო, ვერ ვერაფერს ვაკეთებო... მერე ისიც გაქრა. ამ დროს კოველი წუთი მთვარისა იყო. თავის გადარჩენისთვის რამე უნდა გველინა და ვინც საით გაასწრო, იქით წვიდა. ზოგს გაუძარბლა, უნებლიეთ საკუთარ ან სხვა ნაწილში მოხვდა და დეკორტირების იარაღისაგა გადაურჩა. მე და ჩემმა ახლობელმა ჯარისკაცმა გორში ვიბოძა დალაყო. შემდეგ კი, როცა ქალაქში რუსები შემოვიდნენ, ერთ-ერთ სკოლის სარდაუს შვეფარეთ თავი გემოდა, გვეწყურდა, ბუტონზე წოდისგან გაეინულებო ვიყავით, მაგრამ გარეთ გამოსვლას ვერ ვაძლავდით, ქართული ჯარის ფორმას მტერა ერთი შუბლეით იცნობდა და იქვე დაეჭურვებოდნენ.

**— ათაღი თან გემოდა?**

— მე წამოიღებ ვერ შეეძლო, იმ არეულობაში დაძინა, მთვრებს კი ჰქონდა, მაგრამ ერთ საღამოს საძალოდან გამოვედით იქნებ როგორღაც გაუღწიოთ-მთოქი და მაშინ ერთმანეთი დეკარგეთ. მას შემდეგ აღარ მინახავს... მე კი სხვა შერბისა შვეფარე თავი. რამდენიმე დღის უკუშედი და უძილო ვიყავი, მაგრამ იქ დარჩენა შეუძლებელი იყო, როგორღაც ძალა უნდა მომეკრება და უნდა წავსულიყავი. იქიდან შუაღამისას გავიქდი და გათენებამდე დიდხანს ვიარე ფეხით. გათენებისას ვიდაც მოხუცი კი ქალი შემეხდა, სახლში შეყარდა და პური გამომიტანა, თან მითხრა, იმ სოფლისკენ წადი, ხალხი ჯერ გადის და შეიძლება თან გაგაყოლონო...

**— თათრ რამდენადაც ვიცო, კონტრაქტორი ხარ და აუცილებლად ჩაგტარებდნენ ინსტრუქტაჟს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს უმეთაუროდ დარჩენილმა ჯარისკაცმა...**

— იცი ომი რა არის, მით უფრო, რუსის ჯართან ომი?.. რა უნდა გამოეყოფინა, ტრასკემელი დამქევა და იმ სიცოცხლა და უბედურებაში შიშველს მერბინა?... ჯარისკაცი ვალდებულია მეთაურის ყველა ბრძანება შესასრულოს და ასეც მოვიქეცი, სანამ ისინი ჩემ გვერდით იყვნენ. უმეთაუროდ დარჩენამ გზაკვალი აგვირია, რუკა მაინც გვექონდა, როგორღაც სამშვიდობოს რომ გავ-

სულიყავით. მეთაურობამ როგორც კი საფრთხე იგრძნო, „ჯიბებში“ ჩასხდნენ და მიუყვარებლეს... ახლა მე მთხვევენ პარტიოტიზმსა და თავგანწირვას? —

**— როგორც ვიცო, ყველა სამხედროს თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს...**

— სიტუაციას გააჩნია. სარდლობა თვითონაც არ ელოდა, რუსეთი ასეთ მასობრივ საპატიო იერიშებს თუ განხორციელებდა და საქმეს თავი ვერ მოაბუხს. იცი რამდენი ოფიცერი, სპეცრაზმელი, რიგითი და რეზერვისტია სარდლობით უკმაყოფილო?... უმეტეს შემთხვევაში მეთაურობის უცოდინარობის გამო ვისჯებით ჩემი ერთადერთი შეცდომა იარაღის დაკარგვა იყო და თუ მხოლოდ ამიტომ გამასამართლებენ, თანხმა ვარ, პასუხი ვაგო, 14.000-ლარიან ჯარშიმასაც გადავიხდო, მაგრამ დეზერტირის სტატუსი არ მინდა, არ ვიმსახურებ.

**01\*რინიძე თინათინი, სერგანტი, 22 წლის:**

— ჯარისკაცს დამოუკიდებლად მოქმედების ტაქტიკას ჯერ კიდევ კარანტინში ასწავლიან. გარდა ამისა, არსებობს „ბისიტის“ პროგრამა, სადაც აკვლიანებენ, როგორ უნდა მოიქცეს რიგითი უმეთაუროდ დარჩენისას. და კიდევ ერთი, მე სერგანტი ვარ წოდებით და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ წევლებები საშუალო დღეს, როცა იმ წევლებები მიმდინარეობს, ჯარისკაცებს გამუდმებით ვასწავლი თავისი სტატუსიდან ორი საფეხური ზევით მყოფი სამხედრო პირის ფუნქციებს... იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნაწილი, ათეული იქნება თუ ოცეული, მეთაურის გარეშე დარჩა, მთ შორის ყველაზე მოტივირებული ადამიანი (ვიდობობს რაღაც გამოსავალი იძლეოს) ამის საშუალებას მას ჯარისკაცური გამოცდილება აძლევს... თუ ჯარისკაცი მტრის აღკაში აღმოჩნდა და მშველელი ძალა არ ჰქვავს, არც რაცია აქვს და თავისი ნაწილთან დაკავშირებაც შეუძლებელია, მან უნდა გადაიცვას და ისე უნდა ეცადოს ვითარებიდან გამოსვლას. იმასაც გააჩნია, თან რამდენი კაცი ახდლებს. შეუძლია თუ არა რაიმე მანკერის გაკეთება.

**— თუ მარტია?**

— თუ მარტია, ჯარისკაცის ზურგჩანთაში არსებული თარალი იძლევა იმის საშუალებას, რომ სანგარი გათხაროს... თუ რაიმე საიდუმლო ინფორმაცია თან აქვს ან იცის, უნდა გაანადგუროს ან

მაქსიმალურად ეცადოს, რომ გაანადგუროს. გააჩნია საიდუმლო ინფორმაციას, თორემ შეიძლება თავგანწირვადვეც მივიდეს საქმე. თმცა თვითმკვლელობას ვერაფერს მოეთხოვო. ჯარისკაცმა უნდა იცოდეს, ოღონდ ბრძოლისთვის და არა გასაქცევად. თუ გამოსავალი მხოლოდ გაქცევაშია, გაქცევაც ისე უნდა მოახერხოს, რომ გარკვეული წესები და პირობები დაიცვას. რაც შეეძება იარაღს, რაც გინდა არეულობა და დაბნეულობა იცის, სამხედრომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დატოვოს იარაღი. ტყვედ ჩაურდნის დროსაც კი თან უნდა ჰქონდეს, რადგან ის მასზეა მიწერილი და ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს. თუ ჯარისკაცმა იცის, რომ ტყვედ ვარდება, იარაღი აღრიცხვავს უნდა აიყვანოს, რაც მიწერილი იარაღის ნომრის დამახსოვრებას ნიშნავს. ამის შემდეგ კი შეუძლია გაანადგუროს. გარდა ამისა, ავტომატი არც ისეთი მამოქვა, რომ მისი თრევა ჯარისკაცს გამოეღვას.

**— შენი, როგორც ომგამოცდილი სამხედრო პირიცაა მაინტერესებს, რა გუნდა მიზეზი, რომ პითოლდ არმიას ამდენი დეზერტირი ჰქვავს?**

— ყველაფერი გამოიწვია მოუშნადებლობამ, დაბნეულობამ, ბევრს მოტყუაცია ან ჰქონდა და მიტოვდა ამის თქმა, მაგრამ ყველას არ აღმოაჩნდა გამგებლობა, რაც

თორნიკე თვარაძე მზადების დროს





მეომრისთვის აუცილებელია. მართალია, ჯარში ამ ყველაფერს ყველას ერთნაირად ასწავლიან, მაგრამ ადამიანს გარსიანია, ყველა ვერ სწავლობს. საქართველო პატარა ქვეყანაა და 18 წლიდან თითქმის ყველა წლოვანების ადამიანი იხდის საყოველთაო-სამხედრო სამსახურს. როგორც ჩანს, რაღაც ნაწილმა ვერ გააცნობიერა, რომ ჯარისკაცობა საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა და მფულებობებსაც თავი ვერ გაართვა.

**მუბაღ ლიპლიძემ**, რადიო „თავისუფლების“ სამხედრო მდიობისეკლი.

— ავგისტოს მძევლების შემდეგ ამ პრობლემებზე კარგა ხანს ვაშუშვე. სახალხო დამცველის აპარატისგან, არასამთავრობო ორგანიზაციიდან, ჯარისკაცი და სახელმწიფოსგან“ და სხვადასხვა წყაროსგან მრავალჯერ ინფორმაცია, რომლის თანახმადაც რამდენიმე ათეულია სამხედრო პირმა საბრძოლო მოქმედებების შემდეგ პოზიცია დატოვა... სამხედრო სტრუქტურაში შეცდომისა და წესების დარღვევებზე პასუხი ყველამ უნდა აუღოს, რანგისა და წოდების მიუხედავად, იმ დროით რაც მათ მიუხიხედათ. პროფესიონალია ჯარისკაცმა და სამხედრო პირმა, რომელმაც თუნდაც იცის, რომ მიწინააღმდეგის ძალა შეუსაბამო და გადაჭარბებულია, ბრძანების გარეშე პოზიცია არ უნდა დატოვოს — ეს აქსიომაა. თუმცა, რეალობაში ისე ხდება, რომ ჯარისკაცები ციხეებში ისვენებან, თანამდებობის პირებს ეს პასუხის არაინ სთხოვს. ასეთი მიდგომა ჯარის მორალურ სულის გააცემკვერებს. ჯარისკაცებს თავიანთი სარდლობის ხინდი გაუწინდებათ. სიხუდელთა უკვე არსებობს, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ ათობით გარდაცვლილი სამხედრო ბრძოლის ველზე დარჩა და ჭირისუფლები დღემდე ეძებენ მათ. ოფი-

ციალური მონაცემებით, 30-მდე უგზო-უკვლოდ დაკარგული გვეყვს... არმიის მორალური სულისკვეთება შერყეულია და ჯარისკაცების სასტიკი დასჯით უარეს სურათს მძვილები თუკი ხელისუფლება 23 ნოემბრის ფართო ამნისტიის დროს ამ ჯარისკაცებს შეისწავლებს, კარგი იქნება. რა თქმა უნდა, თუკი ეს არ არის დალატი, საბრძოლო მოქმედებების, ტერიტორიის, კოორდინატების მტრისთვის მიყიდვა ან გადაცემა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯარისკაცებს შორის კეშირი არ არსებობდა და იმდრომაც გამოიფინენ ბრძოლის ველშიც მეთაურის ბრძანების გარეშე, ამგვარი დანაშაულის გამო მათი ციხეში ჩასმა არ არის სწორი.

**— როცა იმ ჯარისკაცების პასუხისმგებლობის საკითხზე ვიხივ, ვინც იარაღი დატოვა, პასუხი, ალბათ, იმ მეთაურებსაც უნდა მოჰკითხონ, ვინც სამხედრო პაზებში იარაღი დატოვა...**

— ამ პრობლემის შესწავლა დღე-ღამე უნდა მიხდეს. კოდირის ხეობაში პოლიციის გარდა თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფიც იყო, მაგრამ მათ ფაქტობრივად, უბრძოლველად დატოვეს იქაურები. იარაღის ნაწილი გამოიტანეს, დანარჩენი კი აფეთქდა ან დარჩა. მეთაურობამ კი, ვინც ამ ყველაფერს ხელმძღვანელობდა, უბრძოლველად ჩააბარა ხეობა, მაგრამ ჩაუთვალეს, რომ კარგად შეასრულეს დაკისრებული ამოცანა, რადგან იქ ბრძოლა უაერსპექტულო იყო...

10 ავგისტოს გორდინად პარლამში მასალა და ფოტოები უნდა გადაგზავნა და უხაზში რომ რეზერვისტი შექმნა, უსაბრძოლო დავეყაროს და რა ექნათ, არ ვიცით... ჯერ გორის სამხედრო პოსიტაღლში მივიყვანე და ერთი ოფიცერი შევიყვ, ამ ბიჭებს რამე მოუხერხებთ თუკი. მან თავი შორს დაიჭრა, რეზერვისტებისთვის ის სცალა, ჯარისკაცებს ვერ ვპოულობო. რა შექნა, ის ბიჭები თბილისში წამოვიყვანე. ვახანშიც კი ასეთ სენას შევსწავარი, რეზერვისტები ამბობდნენ, ჩვენ უკან დაფრუნილი და იარაღი ვიღაცამ ჩამოგვართო... ისინი უნდა დაიხაჯონ, სახელმწიფოს იარაღის შენაღ მათაც უნდა დაუბრუნონ თუ მათ იარაღი საბრძოლო მოქმედების დროს არ დაკარგეს. ბევრი თავდაცვის მხნით ფორმის იხდიდა და იარაღსაც აგებდა. თუ ისინი იარაღს არ დაბრუნებენ, იმ საწყობის მეთაური დაიხაჯება, ვინც მათ იარაღი მისცა. მას აუცილებლად ჰკითხავენ,

იარაღი, ალბათ, ვიღაცებს მაჩურე დომს აბრალბო...

**— რა გარანტია არსებობს, რომ რეზერვისტმა თვითონ არ გაიყდა იარაღი?**

— დაიხ, ამ ყველაფრის შესწავლა ინდივიდუალურად უნდა მოხდეს... თუ ბრძოლა იღებს ბრძანებას, რომ ამა თუ იმ ნაწილმა უნდა დატოვოს ბრძოლის ველი, ან პოზიცია და მეთაური მათ აძლევს მიმართულებას, რომ მათ საეკუყავციოდ ყველა საშუალება ელოდებათ, ამის დამდატურებული დოკუმენტაცია უნდა არსებობდეს... უამრავი ნიუსნია, რაც უნდა გათვალისწინონ, თუნდაც ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, ფრინტის ხაზზე არსებული ვითარება, მართვის მოშლა (და ეს ხარვეზი ვერსებების ყოფილია უფროსმა ზახა ვოგაგამაც აღიარა), ასევე სხვადასხვა არაკომპეტენტური პირის მიერ თავის თავზე სამხედრო ფუნქციების ატება... ასე რომ, მათ რაც შეიძლება ტოლერანტულად უნდა მოექცნენ. სხვა შემთხვევაში, რაღაც პროცესებისთვის ეს დეტონატორი იქნება, რადგან სამხედრო ნაწილებს შორის უკმაყოფილება უკვე გამოვლინდა, როცა აღმდინებე ათეულმა გამოცდილმა ბეცინაზმებმა პროტესტის ნიშნად საეკლაფერს ხელმძღვანელობდა, უბრძოლველად ჩააბარა ხეობა, მაგრამ ჩაუთვალეს, რომ კარგად შეასრულეს დაკისრებული ამოცანა, რადგან იქ ბრძოლა უაერსპექტულო იყო...

**ლალი პაპასპირი**





# ოქის შეფაროვი ანალიზი და ჩაკოპენდასიები



ბოლო პერიოდის საკადრო ცვლილებები თავდაცვის უწყებაში მიუთითებს იმაზე, რომ ავეისტოს ომმა ჩვეულებრივად და მთლიანად სახელმწიფოს ბრძოლისუნარიანობის ბევრი ნაკლი გამოავლინა.

საწმენდო, ძალზე ხშირად დაგვიანებულ ნაბიჯებს ვგვათ. ამის მიზეზი ისევ ისევ 2005 წლის გაუმართლებელი საკადრო ცვლილებები და აქედან გამომდინარე, სათანადო გამოცდილების ჟეინობაა მართვის სხვადასხვა რეჟიმში.

იყო პერიოდი, როცა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში NATO-ს საპაერო თავდაცვის საინფორმაციო სისტემასთან მიერთებას დიდი შემოკლებული ფაქტორი ექნებოდა, რადგან იმ წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკა არ იყო ასეთი აგრესიული, ის ანგარიშს უწყველ დასაყულის აზრს და დასაყულის ზეწოლა ჩვეთის მნიშვნელოვანი იყო. ამის მაგალითია სტამბოლის შეთანხმება ჯარების გაყვანის თაობაზე. 2001 წლიდან 2004 წლამდე ეს პროგრამა დაუფინანსებლობის გამო ვერ განხორციელდა, ხოლო 2005 წლიდან, როცა არმიის ბუჯეტი 40-ჯერ გაიზარდა, ეს პროგრამა არ მიიწიეს პრიორიტეტად. დღეს მიუერთი NATO-ს საპაერო ვითარების მონაცემთა ბაზას, მაგრამ ახლა, როცა რუსეთი აგრესიას არ მალავს, ეს პროექტი ნაკლებეფექტიანია ჩვენი უსაფრთხოების განსამტკიცებლად.

რაც შეეხება მთლიანად საპაერო თავდაცვის სისტემას და მის ეფექტიანობას ავეისტოს მოვლენებისას, მე ჩემს სტატიებში აღვნიშნავდი, რომ დიდი მიღწევა რუსეთის ავიაციისთვის ასეთი დიდი ზარალის მიყვება (მე შეგნებულად არ მიყვან ციფრებს, რადგან ზუსტი ციფრების დადგენას მოკვლევის ჩატარება ესაჭიროება. საპაერო თავდაცვის ტექნიკაზე უნდა არსებობდეს ობიექტური კონტროლის ტექნიკური აპარატურა), მაგრამ მთავარი არა რაიღენთაა, არამედ ზარისი, ანუ მისის მიღწევა და მოწინააღმდეგის გვემის ჩაშლა. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მისანს მაიღწია, ჩვენ კი — ვერა. ისევ ფაქტია, რომ ჩვენი სახმელეთო ქვედაწიფების წარუმატებლობა საპაერო სერვისის დაკარგვის შემდეგ დაიწყო.

იუკრაინაში ორ თვეზე მეტხანს გაუღო 1200-ზე მეტი თვითმფრინავის გან შემდგარი საავიაციო დაჯგუფების

დაბომბვებს. მისგან განსხვავებით ჩვენ დასაყულის დიდი მხარდაჭერა გვექონდა და ცოტაც კიდევ რომ გავგეფლო, დასაყულის ჩარეეტი საომარი მოქმედებები ჩვეთის უფრო მომგებიან ვითარებაში შესწდებოდა. ავეისტოს ომში საპაერო თავდაცვის სამი ძირითადი ნაკლი ქეინდა:

1. სპეციალისტების უკმარისობა და ტექნიკის არასრულად დაუფლება და ზუსტი კოორდინაცია;
2. ტექნიკის ერთი ნაწილის გაუმართლობა, რაც არ შეიძლება ჩაითალოს გამამართლებელ მიზეზად, რადგან ტექნიკის გაუმართლობის შემთხვევაში სახელრო მოსამსახურეს ძილის უფლება არ აქვს;
3. დაჯგუფების არასწორი შერჩევა. დედაქალაქი (შესაბამისად, პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარზღლის რეზიდენცია და სახელმწიფოს მართვის ობიექტები), ფოთის პორტი და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები მთლიანად დაუცველი იყო პაერდან. სა-

პაერო თავდაცვის ქვედაწიფები ხომ მშეილობაა პერიოდში უნდა იცავდნენ ამ ობიექტებს პაერდან?!

მოკლედ, ომი გადაეიტინე და ახლა ვხვდებით, რომ თურმე საპაერო თავდაცვა უნდა იყოს მთავარი პრიორიტეტი, ანუ ისევ გვიან მოვლერო გონს. გასაკებია, რომ სტრატეგიული საფრთხეების შეფასებისას იქნა დაშუებულები შევლილები, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც კლასიკურ გადწყვეტას მიითხოვს და ველოსაუგდის გამოკონება საჭირო არაა. თუმცა ველოსაუგდის გამოკონებაზე შევქმელი — კვადროციკლებით მსროლელი-მეზინიტკების გადაადგილება ნამდვილად კარგი იდეა იყო, რასაც შემდგომში სხვა ქვეწიფები გამოიყენებენ.

დღეს ბერი კითხვა დაისმის მასმედაში, როგორი სისტემები გვესაჭიროება. მთავარი და გადაწყვეტი ის კი არ არის, რა სისტემები გვექნება — ახალი თუ ოდნავ მოძულებული. გაცილებით მნიშვნელოვანია სპეციალისტების სა-



ითხი. სახელმწიფომ მეტი აქტიურობით უნდა დაიწიოს საკუთარ პროგრამების შემუშავება კონკრეტულად საპაერო თვალცეხსა და ავიაციისთვის. ამ იმით არ მთავრდება ჩვენი ისტორია და მოკლევადიან, ფემქტან გადწყვეტილებებთან ერთად საჭიროა გრძელვადიანი პროგრამები. უპირველესად ეს კადრების მომზადების სისტემას უნდა შეეხოს. მნიშვნელოვან მიმართა, შევიანარ ჩინეთი არმიის პროექსინალური საკონტრაქტო პრინციპით დაკომპლექტება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპაერო ძალებისთვის.

დაუშვებლად მიმართა ავიაციისა და საპაერო თვალცეხის დანაწერება-დაყოფა სახიბრების მიხედვით ავიაცია და ყველა ტიპის საპაერო თვალცეხის სისტემები ერთ თანამდებობის პირს — საპაერო ძალების სარდალს უნდა დაექვემდებაროს, რასაც რომ მთავარი არგუმენტი დავაზრებოთ: 1. უკუფრის კოორდინაცია და შესაბამისად, მოწინააღმდეგის ავიაციისთვის მეტი ზარალი მიყვება; 2. მართვის ერთიანი სისტემის შემუშავებით საკუთარი ავიაციის მაქსიმალური უსაფრთხოება.

არსებობს სხვა არგუმენტებიც: კადრების მომზადება და ზრდა ერთიან სისტემაში, ლოგისტიკის ცენტრალიზება და უნიფიცირება, ინფრასტრუქტურის ერთიანი გვეგით განვითარება, თანაბარი ყურადღება საპაერო თვალცეხის ყველა გვეგობისადა და რაც მთავარია, მთავარწყობის დაბირისპირების აღმოფხვრა. ყველა ქვეყანაში იყო და ამ იმჟამ ცხადყო, რომ არსებობს ერთგვარი „შეჯიბრება“ სახმელეთო ჯარების საპაერო თვალცეხსა და საპაერო ძალებს შორის. შეჯიბრებას კი ყოველთვის მოჰყვება ქიშობა რომელიმე სტრუქტურასთან, შესაბამისად, რომელიმეთვის ნაკლები ყურადღების მიქცევა და ა.შ..

ვიპირობ, რა ტიპისა და რომელი ქვეყნის სისტემებს შეეისყიდოს, ნაკლებმნიშვნელოვანია. თუმცა შეიარაღების შერჩევისას უნდა გვეთვოდოს წინით ტექნიკის საიმელობა და მათი გამოყილდება სხვადასხვა კონფლიქტში. თანამედროვე ტიპების არჩევისას, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებში არ გამოგვიყენება, სათანადო საპროცედონო გამოცემა. უნდა გათვალისწინებულ იქნეს ლოგისტიკური უზრუნველყოფის საიმელობა გრძელვადიანი პერიოდისთვის უნდა შევქმნათ, შევიძინოთ ორი ან სამი ტიპის ტექნიკა, რომ კა-

დრების მომზადებასა და ლოგისტიკაში ნაკლები პრობლემები შეექმნათ.

ვიცი, რომ ბევრ თანამდებობის პირს არ მოსწონს ჩემი სტრატეგია, კრიტიკულად მიიხევენ, მაგრამ თუ უფრო ყურადღებით დაუკვირდებიან, უფრო მეტ დაღებობს ამოიკითხვენ, ვიდრე უარყოფითი. რაც შეეხება რეკომენდაციებს, მე ხომ მხოლოდ საქვეყნო მიზნის მიღწევის სურვილით ვწერ მიზანი ვყვალს ერთი გვაქვს: ქვეყნის გამთლიანება და დამოუკიდებლობის განმტკიცება. მკითხველს შევთავაზებ ჩემს მოსაზრებებს, რა უნდა გაეყოფს უზოლო პერსპექტივაში და მიმართა.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი: საპაერო ძალების ახალდანიშნულმა საარდალმა ობიექტურად და მეცნიერულ დონეზე დეტალურად უნდა გაანალიზოს იმის დროს საპაერო ძალების მოქმედებები. გამოავლინოს ძალებითი და უარყოფითი მხარეები, რასაც უნდა მოჰყვას ასევე დეტალური გვეგმა დონისძიებებისა, რომლებიც მიმართული იქნება დაღებით მხარეების განსამტკიცებლად და უარყოფითის აღმოსაფხვრელად. მერქმუნეთ, ამ სახმედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში თვითდამშეიდება დამუშავალა ქვეყნისთვის.

ძალიან მოკლე ხანში უნდა შემუშავებულ იქნეს საპაერო ძალების დოქტრინა, რომელიც გათვალისწინებული იქნება საქართველოს უახლესი ისტორიის გამოყილდება. ასეთი პროგრამული დოქტრინის შემუშავების გარეშე არანაირი ძვირად ღირებული შესყიდვა არ არის სასურველი. საპაერო ძალების დოქტრინაში უნდა აისახოს, რა ახალი საფრთხეები განწდა ქვეყნის წინაშე და შესაბამისად, რა ამიცანების გადაჭრა მოუწევს საპაერო ძალებს მომართა.

მხოლოდ და მხოლოდ ამ ამიცანების ჩამოყალიბების შემდეგ შეიძლება იმზე ფიქრი, თუ რა შეიარაღება და ტექნიკა უნდა შევიძინოთ და როგორი საპაერო ძალები უნდა გვეყიფდეს. სხვაგვარად ეს იქნება არამეცნიერულად და სტრატეგულად გადაღებული ნაბიჯი, რასაც ადრე თუ გვიან (ისევე როგორც ავეისტოს მოვლენებს), ისტორია განსჯის.

განვითარების მეთოდისა და რეკომენდაციების შესახებ ჩვენ აწერდით „არსენალის“ წინა ნომერებში და აღარ გვეთვოდეს. შევეტები მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალს.

დიდი განხილვის საკითხი უნდა

გახდეს ავიაციის განვითარების საკითხი და ის, თუ რომელ გვეგობაზე უნდა გაეყოფს მეტი აქცენტი: ავიაციაზე თუ პაერსაწინალო სისტემებზე. იმის შესაღვე მოვისმინე მოსაზრებები, თითქმის ავიაციას ვერ გამოვიყენებთ და აქცენტი პაერსაწინალო თვალცეხზე უნდა გადავიტაროთ. აქ პარტიკულად ის საკითხების გადაჭრა არ შეიძლება. მე ყოველთვის ისინალიის მაგალითი მიმეგე, რომელიც ტერიტორიით ჩვენს ორჯერ მეცირა, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი ძლიერი საპაერო ძალებს ჰყვს, განვითარებული საპეროდრომის ქსელითა და ინფრასტრუქტურით.

თუ ისე მოვუდგებით, რომ ავიაციის გამოყენება ომში ვერ შეძლებილ და ამიტომ არ გვესაჭიროება, მაშინ არამად არ გვეჭირება ორი დღით საომრად და დაბლომტკიური მიმართულება გვეძლიერი თანამედროვე არმა ავიაციის გარეშე უფრო პარტიკულად რაზმ იქნება. ჩვენ ავიაციით ძალებ ჩამოურჩებით ჩვენს მეზობლებს და უნდა ვიფიქროთ ბალანსის აღდგენაზე რეკონსტრუქციაში. ზუსტად იარაღის დარტყმებისაგან ავიაციის დასაცეად კი საჭიროა აიგოს დამცევა საშუალებები, მობილური ძალების კი სააეროდრომის ქსელი უნდა განვითარდეს, აიგოს საველე აეროდრომები და ა.შ..

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მფრინავი და ტექნიკური შემადგენლობის მომზადების. დამის ფრენები, უმაღლესი პილოტაჟის დაუფლება, საპროცედონო მომზადება უნდა იქცეს საფრენოსნო მომზადების მთავარ პრიორიტეტად.

პაერსაწინალო თვალცეხი მთლიანად უნდა გადაეცეს საპაერო ძალებს, სარდალი უნდა იყოს პასუხისმგებელი ქვეყნისა და მისი შეიარაღებული ძალების დაცევაზე. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და როგორც ავეისტომ დაგვანახვა, ფრინავი შეიძლება სულ არ შექმნას ან მას პირობითი ხასიათი ჰქონდეს. რუსეთის ავიაცია კი მთელ საპაერო სფეროვეში დათარშობდა. საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, საზენიტო არტილერია, გადასატანი კომპლექსები ერთიანი გვეგით უნდა მოქმედებდნენ და მართვის ერთიან სისტემაში იმართებდნენ. საპაერო თვალცეხის უწყვეტრეი დაყოფა მოქმედებული და ჩვენთვის ნაკლებფემქტანი მიღვოდა.

უნდა შეიქმნას საპაერო განვითარების, მართვის და ინფორმირების ერთიანი სისტემა, რომელიც როგორც ჯარების





# ვაზაა ქვეყნზე გაგნაღვრეული ავიაციის ნახვალ პერსონალზე თავდაცვის სპეციალზე უნდა იქნეს

მართვის, ასევე ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების საპაირო თვდასწმის შესახებ ინფორმირების საშუალებას უნდა იძლეოდეს. უნდა მომზადდეს უმაღლესი მთავარსარდლისა და მთავრობის სამუშაო სტაციონარული და მძრაი პუნქტები, რომლებშიც დამონტაჟებული იქნება საპაირო ვითარების ამსახველი მონიტორები.

უნდა შექმნილებული იქნეს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური დაზვერვის ღონისძიებები. უნდა მოეშალოს იმისათვის, რომ მომავალი საბრძოლო მოქმედებები რაღაც რადიოელექტრონული ბრძლის პირობებში მოგვიწეს.

ველადიანის თვითდათვი სპეციალისტების საკითხი და ჩვენ წარმატების ვერ მთავრდება, სანამ კადრების მომზადების გეგმას არ შევიშუალებთ, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი, რომელ წელს რა სპეციალისტის რამდენი სამხედრო მოსამსახურე უნდა მომზადდეს, ვინ როდის უნდა გაიაროს სხვადასხვა კურსი, სანამ წინასწარ არ გავწეროთ ყველა სამხედრო მოსამსახურის საკარაული კარგულ ზრდას. გადახედვად მოითხოვს ნორმატიული ბაზა, უპირველესად კანონი „თავდაცვის სასახებ“, რომელშიც უნდა გაისწავროს სამხედრო მოსამსახურის გეგმის წესები: ვინ სად რა ვაღით შეიძლება დაინიშნოს, ყოველ თანამდებობაზე ვინ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, თანამდებობებიან გათავისუფლების წესები და ა.შ.

იმდია, ამ სტატუსსაც არ მიიღებენ პირად კრიტიკად. მაშინ, როცა საპაიროთვლის პრეზიდენტმა, შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა გამოთქვა სურვილი მფედვის პარლამენტში და გასცეს პასუხები დროებითი საგამომიბო კომისიის წევრთა შეკითხვებზე, სამხედრო მალაქინოსნების შეტევა თვითკრიტიკისკენ მოუწოდებ და ნუ განქციობიან უარყოფითად მსგავსი სტატეების მიმართ — მიიღონ მხოლოდ ცნობისთვის. მით უმეტეს, რომ ჩვენ შეკითხვებს არ ვესვამთ და მხოლოდ რეკომენდაციებს ვიძლევათ.

წარმატებას ვუსურვებ შეიარაღებული ძალების ახალდანიშნულ ხელმძღვანელობას, ყველა სამხედროსა და სრულიად საქართველოს ქვეყნის გამომადინების საქმეს.

**ამირან სალუშვაძე**  
**საპაირო ძალების**  
**სარდალი 2003-2005 წლებში**

ავიაციის მოვლენების შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა რბილად რომ ვთქვათ გაძლიერებას საჭიროებს. მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, რომელიც ქართულ შეიარაღებული ძალების საჰაერო თავდაცვას ჰქონდა ამ სფეროში ძალიან ბევრი გასაყვედურით, რომ იგი თავის სიმართლზე დადგეს. საინტერესო იქნება, ჩვენსავით ჰატარა ქვეყნის, სერბეთის გამოცდილების გაზიარება, რომელსაც ბრძოლა არანაკლებ (თუ მეტთან არა) ძლიერ სამხედრო ძალასთან — NATO-სთან მოუხდა. ჩვენი რესპონდენტი სერბეთის არმიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ოფიცერი ივიცა სტოკიჩია.

— ბატონო ივიცა, რა სისტემებითაა აღჭურვილი ამჟამად სერბეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა?

— სერბული არმიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა აღჭურვილია 70-იანი და 80-იანი წლების საბჭოთა და ამერიკული სისტემებით.

სამხედრო ჯარების შეიარაღებაში შედის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები: საზენიტო ქვეშები 40 mm Bofors, სარაკეტო სისტემები: Igla, Strela-10M, Strela-1M, Strela-2M.

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სარაკეტო სისტემები: KyB-M, C-125M Neva-M.

საკვიციო ტექნიკა: МиF-21, МиF-29, J-22 Orao, F-4 Super galeb, AN-26, ЯK-40, УТВА-75, Ми-8Т, Ми-17В, Ми-24В, Soko Gazelle: SA334L/H.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად პერსპექტიულია სერბეთის გამანადგურებელი ავიაციის განვითარება?

— ჩემი აზრით, ჩვენ არც გვესაჭიროება მრავალრიცხოვანი ავიაცია, თუნდაც იმიტომ, რომ პატარა ტერიტორია გვაქვს (რომელსაც, სამუხარობდ, უფრო და უფრო ამცირებენ). ძველი იუგოსლავიის არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს იმხელა საჰაერო სფერო, რომ საჭირო შეიქნეს ავიაციის სრული დატვირთვით გამოყენება. იმისათვის, რომ გვექონდეს ეფექტური ავიაცია, საჭიროა დიდი ოდენობით თანხები. ჩვენ



ივიცა სტოკიჩია

კი დღეს იმის საშუალებაც არ გვაქვს, რომ შევიძინოთ C-300, რამდენიმე ციფრული პოლონური „ნეჟი“ ან რუსული „პუჩორა“. „ნეჟი“ ჩვენი მთავრობის ადგილებისთვის ვაცილებით ეფექტანია, ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილი დაბლობია და ავიასაწინააღმდეგო რაკეტები და სადგურები შეიძლება დიდი მანძილით იქნეს ერთმანეთისგან დაცილებული.

სერბეთის სამხედრო-საჰაერო ძალების აქტუალური პრობლემა „საჰაერო-ჰაერი“ კლასის რაკეტების უკმარისობა. დღეისათვის მათი რესურსი ამოწურულია, ბევრისაც ტექნიკური წესდების გათვალისწინებით გამოყენებაც შეუძლებელი ხდება. ბატანიციის (სამხედრო აეროდრომი ბელგრადთან) საჰაერო-

**სარკმლის ავიაციისა და პაერსაჟინააღმდგომ თახადაციის  
სტრატეგია ანაგაიშირება:**

- 210-ე კავშირგაბმულობის ბატალიონი;
- 333-ე საინჟინრო ბატალიონი;
- 204-ე საავიაციო ბაზა;
- 101-ე საავიაციო გამანადგურებელი ესკადრლია;
- 252-ე შერეული საავიაციო ესკადრლია;
- 138-ე შერეული სტრანსპორტო საავიაციო ესკადრლია.

**I. სადაზვერუ-საავიაციო დანაყოფი**

- 24-ე პაერსანაოსნო ტექნიკური ბატალიონი;
- მე-17 ავიაბაზის საუზრუნველყოფო ბატალიონი;
- 117-ე პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის საარტილერიო ბატალიონი;
- 98-ე საავიაციო ბაზა;
- 241-ე გამანადგურებელ-ბომბდამშენი საავიაციო ესკადრლია;
- 714-ე ჯეჰმანსაწინააღმდეგო შუეულმფრენების ესკადრლია;
- 119-ე შერეული სტრანსპორტო შუეულმფრენის ესკადრლია.

**II. სადაზვერუ საავიაციო დანაყოფი**

- 24-ე პაერსანაოსნო ტექნიკური ბატალიონი;
- 161-ე ავიაბაზის საუზრუნველყოფო ბატალიონი;
- 98-ე ავიაბაზის საუზრუნველყოფო ბატალიონი;
- პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის 98-ე საარტილერიო ბატალიონი;
- პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის 250-ე სარაკეტო ბრიგადა.

**საკომანდო ბატარეა**

- პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის I სარაკეტო ბატალიონი;
- პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის II სარაკეტო ბატალიონი;
- პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის III თვითმავალი სარაკეტო ბატალიონი;
- პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის IV თვითმავალი სარაკეტო ბატალიონი;
- პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის V თვითმავალი სარაკეტო ბატალიონი.

**126-ე ცენტრი ВОЖИН**

**საკომანდო ასეული**

- მე-20 ბატალიონი ВОЖИН
- 31-ე ბატალიონი ВОЖИН
- პაერსანაოსნო-ტექნიკური და ტექნიკური უზრუნველყოფისა და მომარაგების ასეული.

**საწვრთნელი გუნდი**

1. ცენტრი — სომხონი
2. ცენტრი — პანკეო
3. ცენტრი — ჟაკოო
4. ცენტრი — ვალეო
5. ცენტრი — ზაქარაი
6. ცენტრი — კრუშკეოი
7. ცენტრი — ლესკოვიცი

**სახმელეთო ჯარის საწვრთნელი ცენტრი**

პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის საწვრთნელი ცენტრი  
 ლოგისტიკის საწვრთნელი ცენტრი  
 კავშირგაბმულობის, ინფორმატიკისა და ЕИПЕД კატრია კვლიეიკაციის  
 ასამაღლებელი ცენტრი  
 АВХО კატრია კვლიეიკაციის ასამაღლებელი ცენტრი  
 პოლიგონი „ახსულანსკე ლიფაე“

გეო წყვლებში მდებარე გამანადგურებელი დღეს შეიარაღებაში მხოლოდ ГШ-23-ი შუეირება.  
 კონსტრუქტორმა მ. სტანოილიეფიმ-მა შუეიმშუა P-60M რაკეტების მოდერნიზაციის ტექნოლოგია, რომელსაც МиГ-29 და МиГ-21-ზე იყენებენ. ამისათვის საჭირო იყო ინდიეთთან თან-

ამშრომლობა, მაგრამ ინდიელებმა ფრმა „იუგოვიპორტ“ SDPR-ის დღეღანების გამო უარი თქვეს. ემეღიურებ, P-60M-ის ტექნოლოგიების განვითარება მისცე მდინარეობს სურბეთში. P-73 და P-27 რაკეტები სუსტი რაკეტება და დღეღასათვის თითქმის აღარც გამოიყენება. მართალია, МиГ-29-ები

ექვლუატრიაშია, მაგრამ არ გეგმენია მისი აღჭურვისათვის საჭირო სპეკლებები.

ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებიან ევვლანზე მეტად სერბეთის ესპტირება პაერსაწინააღმდეგო სარაკეტო შუეიარაღება, მათი უკმარისის გაცილებით სპინაია, ვიდრე მათთვის დაზარეული თანხებით იხარაღებს ბუკარეტი.

— გამოღის, მცირე ტრეიტორიის მურო ევვრენისთვის ავიაცაზე შუეტად პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის განვითარება პრიორიტეტული?

— სლოენისასაც პატარა ტრეიტორია აქვს, მაგრამ გამანადგურებლების შუეტენაზე უარი თქვა და თავისი სპაერო ტრეიტორია დასაცავად იტალიელებს მიაბარა, დღეს კი ეს სანახებელი გაუხდა. იმ თანხით, რაც იმ ბოლო 10 წლის განმავლობაში იტალიელებს გადაუხადეს, შუელოთ გამაღებურებლის შუეტენა ან პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის გაუშუეობსება. როდესაც სამხედრო დოქტრინის მიხედვით გათვლებს აკეთებენ, გათვლისწინებულ უნდა იყოს, ვინაშენი პირდაპირი თუ სავარაუდო მტერი, უნდა შუეფასდეს მტრის შესაძლებლობები. თვითმავალი იქნებ კიდევ მოვიხიხეს NATO-სთან შეიარაღებულ დაპირისპირება (მანამდე თუ არ გაქვერდა სერბეთი ნატოში, რაც არაა გამოირცხული ახლანდელი ტენდენციის გათვლისწინებით). გაცილებით სჯობია, გექონდეს თანამდროე პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის სისტემები.

მაგალითისათვის მოიყენან გენერალ-პოლკოვნიკ ს. სიდიანინის მოსაზრებას, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის ოპერატიული გათვლებსა და მის დღევანდელიობას ეტება: „იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და იუგოსლავიის სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის დროს გავუთლებო იპერატიული გათვლების საფუძველზე, NATO-ს ძალებს გარდა, სხვა მოწინააღმდეგის ძალებთან შეიარაღებულ შუეტაკების შემთხვევაში სარაკეტო შეიარაღება და პაერსაწინააღმდეგო თვდაცვა შესაძლებელი იქნებოდა გამოყენებულეო არა უმეტეს 3 კვირისა. წუენი ძალების უდიდესი წარმატება სწორედ ის იყო, რომ NATO-სთან კონფლიქტის დროს პაერსაწინააღმდეგო თვდაცვამ გადო არა 3 კვირის, არამედ 78 დღეს. ასეთ პირობებში მდღევანდე ითულებს ისიც, რომ МиГ-29-ებიდან 5 შუენინარ-





სერბული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-125M Neva-M

წინეთ, რემონტისა და მოდერნიზაციის შემდეგ მათ შეუძლიათ კიდევ დაიცვან სერბეთის საჰაერო სივრცე.

როდესაც 1989 წელს SFRJ-ის (იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა) თავდაცვის სისტემის რევიზია ჩატარდა, ავიაცია და პაერსაწინააღმდეგო თავდაცვა არ ყოფილა პირველ ადგილზე, არც არასდროს იყო მიწინეული, რომ მიწინააღმდეგის საჰაერო ძალებს ერთი ერთზე შეეგებოდათ. განსაკუთრებით კი დარტემის პირველი ტალღების დროს, თავდასხმის შემთხვევაში ჩვენს თავდაცვას შემოუშვებელი ჰქონდა უკან დახევისა და ომის წარმოების რამდენიმე სკენარი (კლასიკური საბჭოთაული სტრატეგია). თავდასხმის მიმართული ბუბის მიხედვით მთელ SFRJ-ში სხვადასხვა ადგილას განლაგებული იყო მიწისქვეშა ცენტრები, რომელიც ზემო სინეზულ სკენარს თავდასხმისგან აცხადებდა. მნიშვნელოვანი ამ ცენტრთაგან განსაკუთრებული იყო ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე, სადაც უნდა ყოფილიყო იუგოსლავიის არმიის თავდაცვის ბოლო ხაზი.

არაფის უფიქრია, რომ საჰაერო სივრცეიდან დაეკავსომოდენ თავს. ჩვენი სარაკეტო შეიარაღება და პაერსაწინააღმდეგო თავდაცვა მხოლოდ ფრონტის ხაზზე სახმელეთო ჯარის დაცვისთვის იყო გათვალისწინებული (ისეუ საბჭოთა დოქტრინა). ეკვი მუპარება, 1988 წლის მერე ამ ოპერატიულ დაეკმარებაში ცვლილება იფოს შეტანილია.

— ანუ, როდესაც შედარებით პატარა სახელმწიფოს უწევს მასზე აღმატებული აგრესიული ძალების მოკრთება და აქვს შეზღუდული ფინანსური და საკადრო (სპეციალისტები) რესურსები, გამანადგურებელი ავიაციის განვითარების ნაცვლად, უმჯობესია იქნება პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებზე დიანარჯის ოსტრები

— როგორც პრაქტიკა ამტკიცებს, პატარა ქვეყნებისთვის უმჯობესია აქცენტი პაერსაწინააღმდეგო თავდაცვაზე გაეკეთდეს. საქართველოს აქვს შედარებით მცირე ტერიტორია, რაც ავიაციის გაძლიერების აუცილებლობას არ მოითხოვს. უმჯობესია ახალი პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შექმნა, მაგალითად, C-300 ან C-400 ტიპისა, რომლებსაც შეუძლიათ ერთდროულად რამდენიმე თვითმფრინავის მოკრთება. მისი რადარის აღმოჩენა კი ძნელია, რადგან მუდმივად იცვლის სიხშირეს. ჩვენ რამდენიმე ამ ტიპის სისტემა რომ გვექონოდა, NATO-ს რომ სცილნოდა, ჩვენ შეგვეძლო ერთდროულად რამდენიმე ათეული ბომბდამშენის ჩამოვრდა, ვერ გაბედვდა თავდასხმას. ასეთი სისტემებისთვის ჩვენ გვესაჭიროებოდა I მილიარდამდე დოლარი, რომელიც მანამ ძალიან ებევრა ჩვენს მთავრობას, ახლა კი სამოქალაქო ობიექტების დაბომბვის შედეგად ზარალი გაცილებით დიდია.

— იუგოსლავიის პაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ დიდი წინააღმდეგო

ბა გაუწია მსოფლიოში საუკეთესო შედეგები. ფაქტობრივად, NATO იძულებული გახდა, მთავარი დარტემი სამოქალაქო ობიექტებისკენ მიემართა, შეიარაღებული ძალები ნაკლებად დაზარალდნენ. რამ განაპირობა იუგოსლავიის პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ეფექტიანობა და შეიარაღებული ძალების მცირე დანაკარგი?

— იუგოსლავიური პაერსაწინააღმდეგო თავდაცვა კარგად მუშაობდა დაბალ სიმაღლეებზე. მაღალ სიმაღლეებზე ვერ ვებედვით რადარული სისტემების ჩართვას, რადგან მტერს უიოლდებოდა დახურვა და რადარსაწინააღმდეგო რაკეტებით დაბომბვა, მაგრამ ამ მუშაობდა ერთგვარი „კონცეის აღმატებული დაბომბვის“ შექმნისში — ბრძოლა წამისთვის. მაგალითად, მაღალ სიმაღლეებზე გათვლილ რაკეტებს, რომლებსაც რადარული სისტემის გარეშე მხოლოდ 8 წამის განმავლობაში ფრენა შეუძლიათ, უმჯობესია და 8 წამის შემდეგ ერთადერთ რადარებს. ამ დროისათვის უაკტა უკვე NATO-ს ბომბდამშენს უახლოვებოდა. სანამ მათი ანტირადარული რაკეტა გამოქმნათობოდა, ჩვენ უკვე აღწევდა მტრის ბომბდამშენს. ამის შემდეგ სასწრაფოდ გამოერთავდით რადარს და პოზიციას ვტოვებდით. ყველაფერი წამებში ხდებოდა. იყო შემთხვევა, რომ ამის გამო რამდენიმე რადარული სადგურის სრული შემაღენლობა დაიდოდა, როგორც იტყვიან, „წამი განსახლერედა სიკვდილ-სიცოცხლეს“.

რაც შეეხება NATO-სთან ომში სერბების მიხედვით საშხერად დანაკარგს, მაქსიმალურად გამოიყენეთ დისლოკაციისათვის და შენიღბვი-

სერბეთის პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კოთხილი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Cx-ნი



სისტემებზე დიანარჯის ოსტრები

სათვის აუცილებელი ვეღა მყოფი და საშუალება ტექნიკის გადასამალაჟად და მტრის შეცდომაში შესვლანად. იქსადაც მტერს სამხედრო არსენალი ეგულეობდა, მაკეტები და ცრუობიექტები დახედა. მაგვლითად, ძველი კარკებისგან ცრუბანაკები გავკეთო. ძველი და უკარგისი კამოფლირებული ტრანსპორტი ისე განკალაგეთ, რომ მტერს დაკონსერვებული ტექნიკა ჰგონებოდა. აეროდრომებზე ასაფენი ბლიკები მიწითა და ბალახით იყო შენიღებული, რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით კი გავკეთო ცრუბილიკები. შვი ნეილინით დაფარული მიწა მტრის ბომბდამშენს ნამდვილი ვგონა და ბომბავდა.

მოსახლეობამ დიდი დახმარება გავცოცია. ვეღლანაირად მობილიზებულ და მომხალდეული იყენენ. მათი დახმარებით გადავმალეთ ტექნიკა.

- რამდენად ეფექტანია შედარებით

მცირე კალიბრის ზენიტსაწინააღმდეგო საშუალებები, ზენიტსაწინააღმდეგო ტყვიამფრქვევები და ავტომატური ქვემეხები?

- მცირე კალიბრები ეფექტანია მხოლოდ უპილოტო საფრენი აპარატების, ფროთოსანი რაკეტების ან უკუგმწო შეუღმფრენების გასანადგურებლად. ისინი უფრო 3000 მ-მდე სიმაღლეებისათვის არის განკუთვნილი. უფრო ეფექტანია იქნებოდა „ტუნგუსკას“ და „ტორის“ ტიპის სისტემები. თუმცა, აუცილებელია არმიას ჰქონდეს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, როგორც დაბალი, ასევე მაღალი სიმაღლეებისათვის. ფასს რაც შეეხება, თავისუფლებას არ აქვს ფასი.

- თვოსლავიის ჰაერსაწინააღმდეგო გამოცდილებიდან გამომდინარე, რა შეიძლება გაითვალისწინონ პატარა სახელწიფოებმა? რა უნდა გააკეთონ,

რომ მოწინააღმდეგეებისთვის მაქსიმალური ზარალის მიყენებით მაქსიმალურად დაიცვან თავი?

- აუცილებელია თანამედროვე სისტემების შექმნა. ნუ იქნება რუსული წარმოების, არსებობს სხვა ქვეყნების სისტემებიც. ჩემი აზრით, საქართველოს არმიის პრობლემა სათანადო კვალიფიკირებული კადრების უქმარისობაა. თქვენ არ გკავდათ ოფიცრები, რომლებმაც საქმე იცოდნენ დაწვებული გენმსახრებით და დამთარებული ასეულების მეთარებით. თქვენ არმია გარე თვალისთვის იყო არმია, რომელიც ძლიერი დარტყმისთანავე დაიშალა. ამიტომ განთილებული კადრები უნდა მოიხილო, ამას კი დრო სჭირდება. მთავარი იარაღი ყიდაე კი არა, მისი გონიერული მოხმარებაა.

- რა ძირითადი განსხვავებაა ამერიკულ (დასავლურ) და რუსულ (საბჭოურ) ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს შორის წარმოების, ექსპლუატაციის, საიმედოობის და საბრძოლო ეფექტანობის მხრივ? რამდენად გამართლებულია დასავლური ტექნიკის გამოყენება დასავლური ავიაციის წინააღმდეგ ან პირიქით, რუსულის გამოყენება რუსული ავიაციის წინააღმდეგ?

- ეს ჩემთვის ცოტა როული სათქმელია, რადგან არტილერიიდან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაში მხოლოდ რამდენიმე წლის წინ გადავიდი. ჩემი გამოცდილებით იმის თქმა შეუძლია, რომ რუსული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა NATO-სას სჯობია. ეს მათივე დოქტრინებიდან გამომდინარეობს: ამერიკელები, ძირითადად, ავიაციანზე აკეთებენ აქცენტს და მათი ტექნიკა ორიენტირებულია თვადსხმანე. მაგვლთმად, C-300 და C-400 რუსულ სისტემებთან ამერიკული ავიაცია უღმურია. სხვათა შორის, ირანს აქვს ეს სისტემები და ამერიკელებს ამას უნდა უფროხონდენ.

- როგორც კომპეტენტური პირი, როგორ შეაფასებდით ქართული ჰაერსაწინააღმდეგო ძალების მოქმედებას ავგისტოს მოყენების დროს?

- თქვენს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვას ცუდად არ უშუშავია, თუ გვაითვალისწინებთ კადრების პრობლემას და იმას, რა შეიარაღებაც გქონდათ. რუსეთმა შედარებით (პოტენციურად მეტიც იყო მოსალოდნელი) მცირე რაოდენობით ავიაცია გამოიყენა.

ინტო მამუშაძე

**მხარდაჭერა ქართულ წარმოებას!!!**

**„კვირის პალიზრის“ გეღია სხლი ისევ თქვენს გვერდითა და საქართველოში შექმნილი რთული პირობების გამო მთავაროთ უაროხვალნეო ფასლკლავს ქართული პროდუქციის რეკლამის განთავსებაზე**

**რადიო „პალიზრაში“ FM 103.9**

**და დღეისთვის ყველაზე წარგბებულ ჟურნალში „გზა“ და „არსენალი“**

რეკლამის ღირებულება მინუს ფასდაკლება საბაზო ტარიფებიდან და **-50%**

**იოსებოიოს 49 37-78-07; 38-78-70**





# როელი ძველის სვამსაშინაური იძაძაბა კომპრომატების სკიპრში

ოქტომბრის მეორე ნახევარში, როდესაც მთელი ევროპა, და შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოც, რუსეთისგან „სარკოზი-მედვედვის“ შეთანხმების შესრულებას ელოდა, საფრანგეთის პრესაში პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მაკომპრომატირებული სტატია დაიბეჭდა. ეს მასალა უმალ აიტაცა რუსეთის „თავისუფალმა“ მასმედია და დამნაშავეც სწრაფადვე იპოვა.

ეურისიკ ე არ არის გარკვეული, კომპრომატები სიმართლეა თუ არა და როგორ მოხვდა კონფიდენციალური ინფორმაცია პრესაში, რომ რუსეთის საგარეო დავურავსთან დაახლოებულმა „მოსკოპოსტმა“ სარკოზის კომპრომატირება აშშ-ის აღმინისტრაციას და სპეცსამსახურები, ეკრძოლ კი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო დადანაშაულა. პუბლიცისტების ხელისუფლების გათვლა რთული არ არის, მათ უნდათ რუსეთ-საქართველოს კომისი პრობლემების მიჩვენება და სარკოზის წინააღმდეგ სენსაციური მასალების გამოქვეყნებით საფრანგეთის პრეზიდენტის „განეიტრლება“ და საფრანგეთ-აშშ-ის ურთიერთობის გათუქება.

## (გაგრძელება)

**დახანჯვის იმ „არსენალი“ №22**  
ნიკოლა სარკოზის მაკომპრომატირებული მასალის მოძიება ჯერ კიდევ ჟაკ შირაკის პრეზიდენტობის დროს დაიწყო. სარკოზი ახალგაზრდობიდანვე გამოირჩეოდა პოლიტიკოსისთვის აუცილებელი თვისებებით და, ალბათ, ამიტომაც თავიდანვე ყველასთვის საშინო კონკურენტი იყო. როგორც არკვევა, საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა სრულიად საღელვლო დაულება პირადად მისცა გენერალური დაზვერვის დირექტორ ფერტანას. სარკოზის ყველა შეხვედრა (მაუხედავად იმისა, იქნებოდა პოლიტიკური, სამსახურებრივი თუ პირადი) უმაღლე ხდებოდა ცნობილი შირაკი-

სთვის. საფრანგეთის დღევანდელ პრეზიდენტს არა მარტო უთვალავლედნენ და ფართოდ უსმენდნენ, არამედ მის კაბინეტსა და სეიფსაც მალულად ჩხრეკდნენ.

ჟაკ შირაკს სურდა, მის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი დომინიკ დე ვილანევი ებოდა და ამიტომაც სარკოზის ჩამოცილება მისი კომპრომატირების საშუალებით გადაწყვიტა. საინტერესოა, რომ საფრანგეთის ეს სპეცსამსახური კომპრომატებს აგროვებდა საფრანგეთის სხვა პოლიტიკოსებზეც და მათი ოჯახის წევრებზე (მათ შორის მთავრობის ერთ-ერთი წევრზე, შემდგომ პრემიერ-მინისტრ ლონგუ ფოსპენზე). თავად ფერტანანი 1992-2004 წლებში გენერალურ დაზვერ-

ვას ხელმძღვანელობდა. ამ სპეცსამსახურის მთავარი ფუნქცია ქვეყნის შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო, თუცა, როგორც ჩანს, „საღელვლო პოლიტიკური პოლიციის“ ფუნქციებსაც მშვენივრად ითავსებდა. უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის სპეცსამსახურების ავტორიტეტში ბოლო წლებში, მიზეზთა გამო, საგრძნობლად შეიღაბა. იყო დრო, როდესაც საფრანგეთის დაზვერვის სპეცოპერაციები დიდი ეფექტიანობით გამოირჩეოდა და ამ ქვეყნის სპეცსამსახურების (უპირველესად კი საგარეო დაზვერვის) ხელმძღვანელები სხვა ქვეყნის დიდებულებს კი აძლევდნენ რეკომენდაციებს. ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი საფრანგეთის დაზვერვის ლეგენდარული უფროსი გრაფი ალექსანდრ დე მარანში იყო.

მეორე დონეზე ალექსანდრ დე მარანში, გრაფი დაიბადა 1924 წელს. 18 წლის ებრძოდა გერმანულ ოკუპანტებს, იყო წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური წევრი და ასრულებდა სადაზვერვო-დიფერსიულ დავალებას. 1944 წელს იტალიის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. იმავე პერიოდში გაიცნო „თავისუფალი საფრანგეთის“ ლიდერი გენერალი შარლ დე გოლი და ერთხანს მისი თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ვიცი-პოლიციის სამხედრო წოდებზე ვივად თადარიგში და საკმაოდ წარმატებულ კარიერა ბიზნესში დაიწყო. თხუთმეტი წლის განმავლობაში ალექსანდრ დე მარანში საკმაოდ დიდი ქონება დააგროვა, მაგრამ ჩანს, გული მანც სახელმწიფო სამსახურისკენ მიუწვედა. რამდენიმე წლის განმავლობაში ის სამოქალაქო ექსპერტის რანგში რეკომენდაციებს აძლევდა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროსა და სპეცსამსახურებს.

1969 წელს საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა ჟორჟ პომპიდუმ მარანში ქვეყნის მთავარი სპეცსამსახურის – საგარეო დოკუმენტაციისა და კონტრდაზვერვის სამსახურის (სდს) გენერალური დირექტორის პოსტი შესთავაზა. ეს სპეცსამსახური, რომლის ტიტულია პარიზში, საცურაო აუზის გვერდით იყო და ამიტომაც ხალხი „აუზს“ ეძახდა, იმ პერიოდში სრული დეგრადაციის გზაზე იდგა. ფორმალურად ის თავდაცვის სამინისტ-



ტროს სტრუქტურაში შედიოდა, სინამდვილეში კი მხოლოდ საფრანგეთის პრეზიდენტის ემორჩილებოდა. ქვეყნის პირველი პირის მტარელობამ უარყოფითად იმოქმედა ამ სპექსამსახურზე.

დაბალი სამეცნიერო დისციპლინა, „ჭურჭლი“ კადრები, უცხო ქვეყნების (უპირატესესად კი საბჭოთა კავშირის) სპექსამსახურების აგენტურული შეღწევა, რაც დოკუმენტურად მტკიცდებოდა, საფრანგეთის ამ „სიამაგის“ ძალზე არაკონკრეტურობის ხედავს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და ისრაელის სპექსამსახურების მტდრეობა.

დღე მარანშია პირველივე დღეებში სდკ-ის მიუღი ხელმძღვანელობა გაათავისუფლდა და ძირეული რეორგანიზაცია ჩაატარა. ახალმა დირექტორმა, რომელიც ფოკუსით გაიმორჩილა ამერიკისა და სიბიძიით, ძალე აღადგინა მჭიდრო კონტაქტი აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერუო სააგენტოსა და გამიძიების ფედერალურ ბიუროსთან. მისი მოკავი დამსახურება ის იყო, რომ დიდ ყურადღებას აქცედა როგორც პოლიტიკურ დაზვერვას, ასევე ეკონომიკურ შვიინახსაც.

ალექსანდრე დე მარანის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა ვალერი ფისკარ დიდ სტენმა 1974 წელს ის კვლავ „აუზის“ დირექტორად დატოვა. თუკი სოციალისტმა ფრანსუა მიტერანმა, რომელსაც საკამოდ დაბამული ურთიერთობა ჰქონდა მარანთან (რომელიც მისზე რეზულად კომპრომატებს აგროვებდა), ის 1981 წელს თანამდებობიდან გაათავისუფლდა.

1992 წელს დე მარანშია ამერიკულ უფრანლისტ დევეი ანდელმანთან ერთად გამოხსცა ძალზე საინტერესო წიგნი — „მკითხველ მსოფლიო იმი: დამლომბრება და შვიინახე ტერორიზმის ეპოქაში“, სადაც მრავალ საინტერესო და საიდუმლო ფაქტს ახადა ფარდა.

ქვემოთ ალექსანდრე დე მარანის ხელმძღვანელობით საფრანგეთის დაზვერვის მთერ სატარებულ ოპერაციებზე მოვითხრობი.

### 316 შვიინახე რონალდ რაიბანი

„ერიდეთ ჰამერს“! — ამ სიტყვებით მიმართა 1980 წელს აშშ-ის ახალარჩეულ პრეზიდენტ რონალდ რეიგანს საფრანგეთის დაზვერვის გამოცილობა და უშპაქა შეეძა ალექსანდრე დე მარანშია. თუიდანვე უნდა გაეგრძობოდა, რომ მას მხედველობაში არ ჰქონდა ამერიკის არმიის საბამე, ველვანგინეაული ჯიბი „ჰამერს“. ლეგინდარული ფრანგი მხეგრავი გულისხმობდა არანაკლებ ცნობილ ჰამერს — მულტი-მილიონერს, კომპანია „ოქსიდენტალ ჰეტროლიუმის“ მფლობელს, საბჭოთა

ლიდერების — ლენინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევისა და გორბაჩოვის მკობარს, ითხიხციდარიო წლის არმანდო ჰამერს. გაკვირებულმა რეიგანმა „პოლიფუგურად“ აზიდა წარბები და ჩაყვირა:

— ჰამერს? ის ხომ ფურელობა მხედვება? ისიც ამ საპარიკონტროლო დადის, სადაც მე.

— ის ხომ ხედავთ, ის რუსებზე მუშაობს! — გაუზარდა ფრანგს.

ვინ იყო ჰამერი და რატომ უნდა მორიფოდლა რეიგანი მასთან კონტაქტს?

სპექსამსახურების ისტორიულ ბეგრი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხეგბოდენენ მდიდარი და ცნობილი პირები „გუგუნების აგენტები“. ზოგი მხოლოდ ერთი ქვეყნის სასარგებლოდ მოქმედებდა, ზოგი კი მრავალი ქვეყნის უმდიდრეს პოლიტიკურ წრეებში იყო მიღებული და კულურულ ინფორმაციას საკუთარი ბიზნესის მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმზე „ცვლიდა“. ბეგრი მათგანზე არსებობს დასაბუთებული არგუმენტი, რომ ისინი საბჭოთა დაზვერვის „აგენტები“ იყვნენ და სანაციკლოდ ანაზღაურებას მილიონობით დოლარს განსაკუთრებით ხელსაყრელი და ექსკლუზიური კონტრაქტებით იღებდნენ.

არმანდო ჰამერი გამორჩეულია იმ მულტიმილიონერებისა და მილიონერების დიდასაში, რომელთა ბიზნესი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ლიდერებსა და სპექსამსახურებთან კავდა ურთიერთობის წყალობით აყვავდა. სანაციკლოდ ისიც თავს არ იზოვავდა კომუნისტური იმპერიისთვის დაღებიანი იმიჯის შესაქმნელად.

არმანდო ჰამერი ჯერ კიდევ ლენინის დროიდან შეუღდა „კრემლის“ „გობიერებას მთელ მსოფლიოში და არც მილიონების კუთხას იფსევებდა. ბრეჟნევის ეპოქაში მოსკოვი ცდილობდა ჰამერის შესაძლებლობებით ახალი საბჭოთა ინცივაციის — „განაიარაღების პროგრამის“ შესასრულებლად, კრედიტების მისაღებად და აშშ-ში საბჭოთა ექსპორტის გასაფართოებლად გამოეყენებინა. 1978 წელს „ამზანახე მილიარდერი“ — ასე ეძახდ-

ნენ ჰამერს პარტიული ბოსების „სინკრეზიზარ-ხეიმი დადილიდლო“, „ახალხია მეკობრობის“ ორდენით შეგდგომ წლებშიც, განსაკუთრებით კი გორბაჩოვის დროს, ჰამერი დაუღალავად ასრულებდა „მთავარი საბჭოთა ლიბისტი“ როლს.

### პოროსკოპი შვიინახე

გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში ერთ-ერთ აფრიკულ ქვეყანაში საფრანგეთის დაზვერვის რეზიდენტურამ ალექსანდრე დე მარანშის აცნობა, რომ იმ ქვეყნის პრეზიდენტი პოროსკოპების დიდი მთეყარული ყოფილა და ყოველკვირა იღებდა საფრანგეთის დელეკაციებთან ერთ-ერთ ფრანგულ უფრანლს, რომელიც ასტროლოგიასა და პოროსკოპებს აქვეყნებდა. დე მარანში ბეგრი არ უფიქრობდა და ამ უფრანლის ყიდვის ბრძანება გასცა. სულ მალე ახალმა მფლობელებმა, რომლებიც, ბუნებრივია, იფიციალურად „შორს იდგნენ“ დაზვერვისგან, უფრანლში იმ შინაარსის პოროსკოპების ბეგვად დაიწვეს, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამებოდა საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს.

### რომბო რაიბანდს ხალხი ფრანგებზე ბრამშენის უნიბახი

გასული საუკუნის 70-იანი წლების მქორე ნახევარში საბჭოთა ლიდერი ლეონიდ ბრეჟნევი იმდენად დაბამუნდა, რომ დამოუკიდებლად კიბეზე ასვლად კი არ შეეძლო. ამ დროს კი საბჭოთა ექიმების (აკადემიკოს ჩაზოვის ხელმძღვანელობით) იფიციალური ინფორმაციით, მათ ლიდერს პოინტურით „ნორჩი“ ორგანოში ჰქონდა. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სპექსამსახურები დიდ ყურადღებას უბამებდნენ ბრეჟნევის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენას, რათა მათთვის მოეღონებოდა არ ყოფილიყო მისი დიდი პოლიტიკიდან „წასვლა“.

ცენტრალური სადაზვერუო სააგენტო (აშშ), MI-6 (დიდი ბრიტანეთი), ისრაელის „მოხადა“, საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის დაზვერვის სამსახურები თავს

შარლ დე გოლი, ვორე პომპიდუ, ვალერი ფისკარ დესტენი





არ ზოგადდნენ, რომ ხელში ჩაეგდოთ ბრეჟნევის სამედიცინო დოკუმენტაცია, ანალიზის მონაცემები და ორგანო „იორი“ საბჭოთა ლიდერის ჯანმრთელობის ამსახველი „თავდაპირველი მასალები“ შემდგომი შესწავლისთვის.

უცხოეთის სპეცსამსახურებს შვედეთში შინა 1978 წლის მაისში ბრეჟნევის დასავლეთ გერმანიის ვიზიტისას მიეცა. მათი გეგმა გენიალურად მართები იყო (რა მოგახსენით ამ გეგმის მორალურ მხარესზე): საბჭოთა ლიდერის პარტიკულურებში ტუალეტის ქვეშაი სპეციალური ძილებით უნდა მიერთებოდნენ ბრეჟნევის უნიტასს და ცენტრალური კანალიზაციისა და კა-გე-მეს გერმდის ავლით უნდა ექანათ და ექანათ ბრეჟნევის ძაღვ „სტრატეგული“ მასალები.

მაგრამ დასავლეთ გერმანიის სპეცსამსახურებში ჩანერგულმა საბჭოთა აგენტმა ეს სასწრაფოდ აცნობა პარტიზებს. მოსკოვში გამართულ თათბირზე მრავალ კონტროლისძიებათა შორის დიდი მონაწილეობა დაამსახურა მე-9 მთავარი სამმართველოს (დსკვის) ერთ-ერთი ხელმძღვანელის წინადადება — მიწინააღმდეგე საეცსამსახურებისათვის შვეიცარიის ბრეჟნევის რომელიმე პირადი მცველის ახალგაზრდული უნიტასმასალები.

ასევე მოქმედნენ. ანდროპოვი გამარჯვების ზეიმობდა. მტრის მზაკველი გეგმის განვიტრალებისათვის მრავლად დრავდა ვიდეოები და ვადამდე წოდებები. თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ზეიმი ნადრევი ვოფლა.

მრავალი წლის შემდეგ ამ ამბავს საინტერესო გაგრძელება ჰქონდა. 1994 წელს საფრანგეთის დაზვერვის ვოფილმა ხელმძღვანელმა გრეთ ალექსანდრ დე მარანშმა განაცხადა, რომ 70-იანი წლების მთორე ნახევარში მისმა აგენტებმა შეძლეს ბრეჟნევის დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ვიზიტის დროს „აქიროფის“ მასალის მოპოვება. დაიგროზი („ალკოჰოლური დიქილი“) მტყვევებდა, რომ ბრეჟნევი დიდხანს ვეღარ გაატანდა.

### რბ ლირს ღოღარნი

საფრანგეთის დაზვერვის ვოფელვის გამთარჩვევა ეკონომიკური შიიონავით. თანაბრად წარმატებით „მუშაობენ“ როგორც ოპონენტი, ასევე მეტობარი ქვეყნების ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური საიდუმლოებების მოსაპარად.

1971 წლის ნოემბერში საფრანგეთის რესპუბლიკის დაზვერვის ხელმძღვანელმა ალექსანდრ დე მარანშმა პრეზიდენტ ფორე პომპიდუს მოახსენა, რომ აგენტურული მომადლეს მოახსენა, რომ აგენტურული მომადლეს აშშ-ის ადმინისტრაციის იმვე წლის დეკემბერში ანდა მიტენდინა ღოღარის დეფდაკაცია (ნუა კურნის შექცირება). ამ შესაძლებლო ინფორმაციათვე დაერდნობით საფრანგეთის ეროვნულმა ბანკმა ჩაატარა სპეცი-ფიკური საფინანსო ოპერაცია — სრულად გაყდა ღოღარის მარავი და შეიძინა ფრანკები, რითაც ათუჯლიობით მიღოინი ღოღარის მოგება მუტრანა საფრანგეთის.

### საფრანგეთის აქიღვესი ჟსტრი - სუსტი კომტრდაზვერვა იყო

ადრე საბჭოთა, ამჟამად კი რუსეთის დაზვერვის ვოფელვის ჰყვდა აგენტები საფრანგეთის მოსახლეობის ველო ფენაში. 50-60-იან წლებში განსაკუთრებული ვურადლება პარიზის, კერძოდ კი NATO-ის შტაბბინისაკენ იყო მიმართული.

საფრანგეთში კრემლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აგენტი ფორე ჰაკი იყო, რომელიც 1943-1963 წლებში საბჭოთა დაზვერვისთვის მუშაობდა. 1958 წელს ის საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ საპასუხისმგებლო პოსტზე დაინშნა, მაგრამ საბჭოთა დაზვერვის ხელშეწყობით ძალვეუ გადაიწვევს უფრო საჭირო — NATO-ის პრესსამსახურის უფროსად, რაც აძლევდა საშუალებას მოსკოვისათვის გადაეცემა პლანბის სრულად საიდუმლო სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაცია. ჰაკი იყო საფრანგეთში მოქ-

მედი საბჭოთა აგენტურული ქსელის წევრი და სპეციალური „საფორე“ ერთ-ერთი წევრი. ჰაკი 1962 წელს დააპატიმრეს, რაც საფრანგეთის კონტრდაზვერვის მუშაობის დამსახურება ნამდვილად არ ვოფილდა.

ერთი წლით ადრე, 1961 წლის დეკემბერში, ფინთში საბჭოთა რეზიდენტურის თანამშრომელი მიაირო ანაოლი გოლიცინი აშშ-ში გაიტეა. მისი ინფორმაციის საფუძველზე ამერიკელმა, ბრიტანელებმა და ფრანგებმა კა-გე-მეს ბეერი მთორეასი აგენტი გამოფრეს. მათ შორის: კამ ფილიბ, ჯონ ვასალი, ფორე ჰაკი, პიუ ჰემბლტონი და მზე.

ფორე ჰაკი ოცი წელი მოსახლეს, თუმცა შეიღ წლები გათავისუფლეს. საფრანგეთში სკამოდ თავისუფლოდ მოქმედი მოსკოვის მთორე აგენტი პიუ ვირჯე ჰემბლტონი იყო, რომელიც ენა-დაშო 1922 წელს დაიბადა. ის ცგ-ს პარიზის რეზიდენტურამ 50-იანი წლების დასაწყისში გადმობინრა. საბჭოთა დაზვერვის დახმარებით სორბონში მიიღო უმაღლესი განათლება და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკის განხრობი NATO-ის შტაბბინაში სპეციალობით მუშაობდა. ზუთი წლის განმავლობაში საბჭოთა დაზვერვას გადასცა რამდენიმე ათასი საიდუმლო დოკუმენტი გრიფით „კოსმისი“, რაც NATO-ის სტრატეგობით საიდუმლოების ერთ-ერთ უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნება. მისი დამოტანალი დოკუმენტაციის სწრაფ ამოუშვების მახნით, პარიზის რეზიდენტურამ ერთი მეტად ემშაღოთ ხერხი მოიფიქრა.

ჰემბლტონის მასშხურთან ახლოს, პარიზის ერთ-ერთ ქუჩაში, შავი მთორე-ტობიხი ვურადლებს არაერთი იქვედა, შიგნით კი ტექნიკის უმაღლეს დონეზე აღჭურვად ფოტოლბორატორიაში NATO-ის საიდუმლო დოკუმენტაციის კოპირება ზელოდა. ამოსუთქვის დროც არ იყო, რავან საბჭოთა აგენტს შეეწყნების დამთავრებამდე სეიფში უნდა დეა-ბრეჟნეზინა NATO-ის საიდუმლო სამხედრო გეგმებს და ეკონომიკური პროგნოზები. ჰემბლტონის, როგორც საბჭოთა აგენტის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის უნიკალური ფაქტიც, რომ 70-იან წლებში ის სპეციალურად ჩამოიყვანეს მოსკოვში კა-გე-მეს თავმჯდომარე აური ანდროპოვიან შესახვედრად. ჰემბლტონი დააპატიმრეს და გაასპაროლეს 1982 წელს — NATO-დან წამოსვლიდან 21 წლის შემდეგ და ათი წელი მუშახლეს.

„არსენალის“ შემდეგ ნოემბერში საფრანგეთის სპეცსამსახურების დღევანდელ სტრუქტურასა და საიდუმლო ოპერაციებზე მოვითხრობი.

გენიკ კლადპოვილი



ფრანსუა მიტერანი, ფაკ შირაკი და ნიკოლა სარკოზი

# МиГ-29К







ფურნალ „არსენალის“ მისის ნომერში წავიკითხე სტატია ამერიკულ გამანადგურებელ ავიაციასთან ერთად საქართველოს ცაში რუსული გამანადგურებლებიც დაფრინავდნენ. თავად ქარტლის რაიონში მომიწია აგვისტოში ყოფნამ და არაერთი თვითმფრინავი ვნახე, თუმცა დაბეჯითობით იმის თქმა გამიჭირდება, ზუსტად რომელი მოდელი იყო ვიცი, რომ ადრე დაწერილა რუსული თვითმფრინავების ამოსაცნობად გამიზნული სტატიები, სამწუხაროდ ის ნომრები ვეღარ მოვიძიე. ვფიქრობ, მსგავსი ინტერესი ჩემ გარდა კიდევ ბევრ მკითხველს ექნება, ამიტომაც გთხოვთ დანეროთ იმ გამანადგურებლებზე, რომლებიც დღეისთვის რუსეთის შეიარაღებაშია.

პატივისცემით გავა კამიშინი, გრემი.

რედაქციისგან: შესაძლოა, აგვისტოს მოვლენების შემდეგ რუსული საზღვრო ტექნიკის პლაკატების ბეჭდვის გამო ბევრმა დაგვძრახოს, მაგრამ გვინდა პლაკატებს მცირე „პრაქტიკული“ დანიშნულება მივცეთ, სწორედ ამიტომ დავიხატეთ სამიზნე. ვფიქრობთ, პნევმატური იარაღიდან სროლისა და დარტის მოყვარულებმა ადვილად მოუძებნიან მათ გამოყენების საშუალებას და ისიამოვნებენ რუსული გამანადგურებლების „ჩამოგდებათ“

# რუსეთის საზღვრო-საჰაერო კალაზის გაანადგურებელი ავიაცია

## МиГ-29 საფრთხო გაანადგურებელი

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულისთვის მსოფლიოს უმეტესი ქვეყნის გამანადგურებელი ავიაციის ბირთვს შესამუ თაობის გამანადგურებლები წარმოადგენდნენ. საბჭოთა კავშირში МиГ-23, ამერიკაში — F-4 Phantom II, საფრანგეთში — Mirage F-1, შვედეთში — JA.37 Viggen.


ჯერ კიდევ 1965 წელს აშშ-ში დღის წესრიგში გამანადგურებელ Phantom II-ის შეცვლის საკითხი დადგა, ოთხი წლის შემდეგ კი ფირმა McDonnell Douglas-

თან გაფორმა კონტრაქტი F-15-ის სერიალ წარმოებაზე.

რამდენიმე წლის დავკიანებით, 1969 წელს, საბჭოთა კავშირშიც გამოცხადდა კონკურსი მქოთხე თაობის საფრთხო გამანადგურებლის შექმნაზე, რომელშიც მიქოიანის საკონსტრუქტორ ბიუროს მავრ წარდგენილა МиГ-29-მ გაიმარჯვა.

ამ თვითმფრინავის პროექტზე მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობდა, რისი წყალობითაც თვითმფრინავის

პირველი საცდელი ნიმუშის მშენებლობა 1977 წლის აგვისტოში დასრულდა. ამავე წლის 6 ოქტომბერს კი МиГ-29 პირველად აფრინდა ჰაერში. 1982 წელს თვითმფრინავი სერიალ წარმოებაში ჩაუშვეს. ერთი წლის შემდეგ კი პირველი ზეით სერიალი მანქანა ლიბეცკში დისლოცირებულ საბრძოლო გამოყენებისა და საფრენოსნო შემაღენლობის გადამზადების ცენტრს გადაეცა. მალევე ახალი გამანადგურებლები ცხაკაიაში (სენაკში) დისლოცირებულმა





არსენალი

საარსენალი  
საინჟინერო







34-ე ავიაპოლკმც მთილო, საიდანაც 1989 წლის 19 მაისს მფრინავმა ალექსანდრე ზუგუმა მიგ-29 თერჯოლისში გაიტაცა. ერთი წლით ადრე კი, ფარნბოროს ავიაშოუსზე, მიგ-29-ს პირველი სადემონსტრაციო გაფრენა შედგა.

მიგ-29-ის სერიული წარმოება დღემდე მომდინარეობს, თუმცა არა ძველი ტექნიკით. დღემდე სულ 850-მდე მიგ-29-ა გამოშვებული, რომლებიც 30 ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებს შეიარაღებაშია. რაც შეეხება ჩვენს „შვილობისმშვიდარე“ მებრძოლებს, დღეისთვის მის შეიარაღებაში 270-მდე მიგ-29-აა, რომლებიც ზუთ ავიაპოლკში არიან გადანაწილებული (აეროდრომები — ხალისი, მილერეო, ანდრეაპოლი, ზერნოგრაფი, დონა).

დღეისთვის 17 სხვადასხვა მოდიფიკაციის მიგ-29-ა გამოშვებული, მათ შორის ორადგილიანი სასწავლო მიგ-29უბ და საექსპანსო მიგ-29კ, რომელიც პირველად 1988 წლის 23 თვლის აფრინდა. შედგომში მან ავიამხედველ 74 დაჯდომა შეასრულა, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთში მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ის სერიამში არ წავიდა. 2007 წელს მოსკოვის ავიაკოსმოსურ საღონო წარადგენის მისი ორადგილიანი ვარიანტიც მიგ-29კუბ.

2003 წელს პაერში აფრინდა პირველი მიგ-290ვტ, რომელიც წვეის ცვლადი ვექტორის მქონე ძრავებითაა აღჭურვილი. საქმენის უნიკალური კონსტრუქციის წყალობით, მას მიბრუნება 360-გრადუსიან დიაპაზონში შეუძლია, რისი საშუალებითაც თვითმფრინავი პაერში უნიკალურ მანევრებს ასრულებს. ამავე დროს აღნიშნული სისტემის ამოქმედება მფრინავის სურვილზეა დამოკიდებული.

2007 წლიდან კორპორაცია მიგ აქტიურ რეკლამას უწევს მოდერნიზებულ მიგ-35-ს (მიგ-29მ2-ს), რომელიც „4++“ თაობის წარმომადგენელია. წინამორბედებისგან ის გაუმჯობესებული საფრენისნო შესაძლებლობითა და რადიოექსტრონული აღჭურვილობით გამოირჩევა. დღეისთვის ამ თვითმფრინავის მხოლოდ რამდენიმე საცდელი ნიმუშია შექმნილი, თუმცა ის ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ორგანიზებულ ტენდერში მონაწილეობს, რომელიც 126 თვითმფრინავის შექმნას ისახავს მზანდა. პერსპექტივაში მასზე განზრახულია ცვალებადი წვეის ვექტორის მქონე ძრავების დაყენება.

მიგ-29-ის პირველი საცდელი ნიმუში 1977 წელს აფრინდა, სერიული წარმოების პროცესი კი 1982 წელს დაიწყო.



**ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები**

მოდიფიკაცია — მიგ-35  
 ფრთის გატანი — 12 მ  
 ფრთის ფართობი — 38, მ<sup>2</sup>  
 თვითმფრინავის სიგრძე — 17,32 მ  
 სიმაღლე — 4,73 მ  
 წონა: ცარიელის — 11000 კგ  
 ნორმალური ასაფრენი — 17,8 ტ  
 მაქსიმალური ასაფრენი — 22700 კგ  
 ძრავის ტიპი: 2xრდ-33მკ  
 წვეა: მაქსიმალური — 2x5300 კვ/ძალა  
 ფორსაჟზე — 2x8800 კვ/ძალა  
 მაქსიმალური სიჩქარე: მინასთან — 1400 კმ/სთ  
 სიმაღლეზე — 2400 კმ/სთ  
 მაქსიმალური სწრაფადმავლობა — 19800 მ/წთ  
 პრაქტიკული ჭერი — 17500 მ

ფრენის მანძილი: — 1800 კმ  
 საში დაბატებითი საწვავის ავზით — 3000 კმ  
 ეკიპაჟი — 2 კაცი  
 შეიარაღება — შიგთავსი: ერთი 30 მმ-იანი ქვემეხი rა-301 საბრძოლო კომპლექტი — 100 ჭურვი.  
 გარე: თვითმფრინავის საბრძოლო დაბეგრთვა ცხრა საკიდზე 4500კვ-ია. მას შეუძლია ბორტზე აილოს „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტები P-27P, P-77, P-73. ხომალდსანიანადმდეგო რაკეტები X-31 და X-35. „ჰაერი-მინა“ კლასის რაკეტები X-25მლ, X-29T, X-29L, X-31П და სხვადასხვა ტიპის, მათ შორის მართავდი ბომბები.



დღეისთვის გამოშვებულია 17 სხვადასხვა მოდიფიკაციის 850-მდე მიგ-29, რომლებიც 30 ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია. ფოტოზე მიგ-35



არსენალი

საარსენალო  
სისტემების







# Cy-27 ბაჰანაღგუჩუკელ-გზუბაღაჰჩიკელი

1969 წელს საბჭოთა კავშირში მეოთხე თაობის გამანადგურებლის შექმნაზე გამოცხადებული კონკურსი, საფრონტო გამანადგურებლის შექმნის გარდა, ახალი გამანადგურებელ-გადამჭვრელის შექმნასაც ისახავდა მისნად. ამ ტიპის პროექტებში გამარჯვება სუხონის საკონსტრუქტორო ბიუროს შექმნილმა T-10-მა მოიპოვა, რომელმაც საყვედლოთა სახელი მეორე ნომრულით — Cy-27-ით მოიპოვა.

მასზე მუშაობა 1972 წელს დაიწყო და პროექტირების პროცესში ორჯერ რადიკალურად გადაკეთდა, რის გამოც მისი პირველი საცდელი ნიმუში 1977 წლის 20 მაისს აფრინდა. 1978 წლის 7

თენის, ერთ-ერთი საცდელი გაფრენის დროს, თვითმფრინავის მეორე საცდელმა ნიმუშმა კატასტროფა განიცადა, რომლის დროსაც მფრინავ-გამომცდელი დაიღუპა. ამან შეაფერხა თვითმფრინავის სრულიყოფა და მის სერიულ წარმოებაში ჩაშვება, რომელიც მხოლოდ 1984 წელს დაიწყო.

სამხედრო ნაწილებში პირველი სერიული Cy-27-ების გადაცემის პროცესი 1985 წელს დაიწყო. სხვადასხვა ტექნიკური და საექსპლუატაციო ნაკლის გამო კი ოფიციალურად თვითმფრინავი სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში მხოლოდ 1990 წლის 23 აგვისტოს მიიღეს.

თავის არც ისე პატარა გაბარებების მიუხედავად, Cy-27 საკმაოდ მანევრირებელი თვითმფრინავია. 1989 წელს ლე-ბურჟეში მფრინავ-გამომცდელმა ვიქტორ პუგაჩოვმა ფართო პუბლიკას უძაღღესი პილოტაჟის ახალი ფიგურა — „კობრა“ წარუდგინა, რომელიც განცვიფრებულმა ჟურნალისტებმა „პუგაჩოვის კობრად“ მონათლეს. თუმცა პირველმა ეს მანევრი მფრინავ-გამომცდელმა იგორ ვოლკმა შეასრულა. ფრენისას თვითმფრინავი ფრენის მიმართულების შეუცვლელად მკვეთრად წვეს მაღლა ცხვირის, შეტყვის 120-გრადუსიან კუთხეზე გადაღის და რამდენიმე ხანს კედლი

Cy-27 პირველად 1977 წელს აფრინდა, შეიარაღებაში კი 1990-ში მიიღეს. ფოტოზე უკრაინის Cy-27





საჰაერო ძალები

საჰაერო  
სამხედრო ძალები



Су-30МК2





### ტაბლიკური-ტექნიკური მახასიათებლები

მოდიფიკაცია	Cy-27
ფრთის გაბანი	14,70 მ
ფრთის ფართობი	62,037 მ <sup>2</sup>
თვითმფრინავის სიგრძე	21,935 მ
სიმაღლე	5,932 მ
წონა: ცარიელის	16300 კგ
ნორმალური ასაფრენი	22500 კგ
მაქსიმალური ასაფრენი	30000 კგ
ძრავას ტიპი	2xAl-31F
წევა: მაქსიმალური	2x7600 კგ/ძალა
ფორსაჟე	2x12500 კგ/ძალა
მაქსიმალური სიჩქარე: მინასთან	1400 კმ/სთ
სიმაღლეზე	2500 კმ/სთ
მაქსიმალური სწრაფადმავლობა	18000 მ/წთ
პრაქტიკული ჭერი	18500 მ
ფრენის მანძილი: დაბალ სიმაღლეზე	3680 კმ
დიდი სიმაღლეზე	1370 კმ
ეკიპაჟი	1 კაცი
შეიარაღება	შეტევას: ერთი 30 მმ-იანი ქვემეტი ГШ-301 საბრძოლო კომპლექტი — 150 ქურვი.
გარე: თვითმფრინავის საბრძოლო დატვირთვა ათ საკიდზე	6000 კგ-ია. მას შეუძლია ბორტზე ექვსი შორი მოქმედების, „ჰაერი-ჰაერი“ კლასის P-27P, P-273P, P-27T, P-273T და P-273A ტიპის რაკეტების აღება და ოთხი ახლო დისტანციებზე მოქმედი P-73 ტიპის რაკეტისა.

წინ მიფრინავს, შემდეგ კი სწრაფად პორიზონტალურ მდგომარეობაში უბრუნდება.

სულ საბჭოთა პერიოდში გამოუშვეს 600-მდე Cy-27. უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ Cy-27 არაერთი მოდელირების საბაზო ვარიანტად იქცა. სერიულ Cy-27УБ-ზე ჰაერში საწყევით გამართვის სისტემის დანერგვით გაჩნდა მოდიფიკაცია Cy-30. შემდგომში ამ თვითმფრინავმა Cy-30 ცალკეულ საექსპორტო „ოჯახს“ ჩაუყარა საფუძველი. სპეციალურად ინდოეთის შეკვეთით შეიქმნა მოდიფიკაცია Cy-30MKI (50 თვითმფრინავი, დამატებით შეიძინა 140-ის წარმოების ლიცენზია). მაღე, სხვა ქვეყნების მოთხოვნით, შეიქმნა მოდიფიკაციები Cy-30MKK (ჩინეთი), Cy-30MK2 (უნესუელა — 24) Cy-30MKM (მალაზია — 18), Cy-30MKA (ალჟირი, შეკვეთილია 28 თვითმფრინავი). კიდევ 5 Cy-30MKI ნაყიდი აქვს ინდონეზიას. შეკვეთის მოთხოვნათა შესაპასხად ზოგიერთ თვითმფრინავზე (მაგალითად, Cy-30MKI) წვეის ცვლადი ვექტორის მქონე ძრავები ეწელება, რაც თვითმფრინავს წარმოუდგენელ სამანვერო შესაძლებლობებს ანიჭებს.

1987 წლიდან Cy-27-ის ბაზაზე შეიქმნა მოდერნიზებული მრავალმიზნობრივი თვითმფრინავი Cy-35, რომელიც წინამორბედებისგან წინა პორიზონტალური ფრთასხმულობით გამოირჩეოდა. სულ აშენდა 12 საცდელი ნიმუში, მაგრამ შემდგომში Cy-35-ის პროგრამა ექსპერიმენტული Cy-37-ის სასარგებლოდ დაიხურა, რო-

მელზეც Cy-35-ზე გამოყენებული წყნა ინოვაციასთან ერთად ცვლადი წევის ვექტორის მქონე ძრავები დაეყენა. 2002 წელს ერთადერთი ვაშემპლარის კატასტროფის გამო ეს პროგრამაც დაიხურა.

2005 წელს მთავრობამ მიიღო Cy-35-ის პროგრამის აღდგენის გადაწყვეტილება, ახალი ნიმუშულით Cy-35BM (ძრავები 117C, წინა Cy-35-ებისგან განსხვავებით მოხსნილი აქვს წინა პორიზონტალური ფრთასხმულობა). დღეისთვის რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს 5 Cy-35 ჰყავს, რომლებიც საპილოტაჟო ჯგუფს Русские Витязи-ის განკარგულებაშია.

სხვათა შორის, 1993 წლის 19 მარტს გუბერნიადან აფრინილი რუსული Cy-27 სოფელ შრომასთან ჩამოვარდა. პილოტი ვაცლავ შიპოვ დაიღუპა.

დღეისთვის Cy-27 და მისი მოდიფიკაციები (უმეტესწლიად Cy-30-ის სერიის) 15 სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებაშია. თავად რუსეთის დღეისთვის 300 ერთ-და ორადგილიანი Cy-27 ჰყავს, რომლებიც 8 ავიაპოლკში არიან გადანაწილებული (აეროდრომები — კრისკო, კილპიეარი, ღზემტი, ბესუცი, დორიხოვი, ჩკალოვსკი, ლოუჟინო პოლკ, ცენტრალური უგლოჟია). კიდევ რამდენიმე ათეული თვითმფრინავი სხვადასხვა სასწავლო-საფრენო სკოლაშია. დღეისთვის რუსეთი შეიარაღებაში არსებულ Cy-27-ებს მოდერნიზაციას უტარებს და მათ Cy-27СМ-ის დონეზე აუქმობსებს.



**Cy-27-მა აიარაღო მოდიფიკაციის ჩაუყარა საფუძველი, რომლებიც დღეისთვის 15 ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია. ფოტოზე Cy-30MK2**



**Su-47**



# Cy-33 საბიზანო ბაჰანაღბურაბელი



დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ავიამზიდებზე ბაზირებულ ავიაციურების შემადგენლობაში მხოლოდ ვერტიკალური აფრენის თვითმფრინავები **ЯК-38** შედიოდნენ. თვისი კლასისთვის ეს თვითმფრინავი მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი საფრენისნო მახასიათებლების პატრონი იყო, თუმც აშშ-ის საზღვაო ავიაციის შეიარაღებაში გამოჩენილი **F-14**-ისთვის მას არ შეეძლო კონკურენციის გაწევა. ამიტომაც 1975 წლიდან სუხიოს საკონსტრუქტორ ბიუროში **ЯК-38**-ის შესაცვლელად დაიწყო მუშაობა ახალ საგემბანო გამანადგურებელზე. მის საბაზო ვარიანტად უკვე დაბატონებული **Cy-27** იქნა არჩეული. თუმცა ამ

უკანასკნელისგან **Cy-33** (ასეთი ნიშნული მიიღო ახალმა თვითმფრინავმა) მოდერნიზებული შეიარაღების მართვის სისტემით, გაძლიერებული შასითა და ფიზიკურად, წინა პორიზონტალური ფრთასხმულობით, სამუხრუჭე კავითა და ფრთით განსხვავდება, რომლის კონსოლებიც ავიამზიდის გემბანზე ნაკლები ადგილის დასაკავებლად იკვეება.

საეციალურად ავიამზიდის გემბანზე დაჯდომის საეციფიკის დასამუშავებლად უკრაინის ქალაქ საკში აშენდა საარჯიშო ტრამპლინი, რომელიც ადამიარალ კუნეცივის“ ასაფრენ გემბანის ზუსტად იმეორება.

1987 წლის 17 აგვისტოს გამოცდილი

**T-10K-1** (მომავალი **Cy-33**) პირველად აფრინდა პერში, ორი წლის შემდეგ კი, 1989 წლის 1-ელ ნოემბერს, ამ თვითმფრინავმა ავიამზიდ „ადმირალ კუნეცივის“ (ყოფილი „თბილისი“) გემბანზე პირველი დაჯდომა შეასრულა. მფრინავ-გამომცდელების პარალელურად, თანდათანობით ახალი მანქანის ათვისება სამხედრო მფრინავებმაც დაიწყო და პირველი მათგანი, ვინც **Cy-33** ავიამზიდზე დასვა (1991 წლის 26 სექტემბერი), ქართველი თემურ აფაქიძე იყო (უფრო დეტალურად თემურ აფაქიძეზე „არსენალის“ შემდეგ ნომერში მოგიხიბობთ).

1992 წელს **Cy-33** სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს. თუმცა საქმე ფართოსერი-



1987 წელს გამოცდილი **Cy-33** პირველად აფრინდა პერში, 1989-ში კი ავიამატარებელ კრეზინერ „ადმირალ კუნეცივის“ გემბანზე პირველი დაჯდომა შეასრულია

Сy-33





ულ წარმოებამდე არ მისულა და დღემდე მხოლოდ 24 **Cy-33**-ია გამოშვებული, საიდანაც 20 მანქანა რუსეთის 279-ე ცალკეულ სახომალდო-საგამანაღვურებლო პოლკის შემადგენლობაში ირიცხება (დარწმინდილი ითხი მანქანა სხვადასხვა კატასტროფაში დაიკარგა). თვითცალიურად **Cy-33** შეიარაღებაში 1998 წლის 31 ავგუსტოს მიღეს.

1999 წლის აპრილს პაერში პირველად აფრინდა **Cy-33**-ის ორადგილიანი საბრძოლო-სასწავლო ვარიანტი **Cy-33KUB**, რომელსაც შეიარაღებაში, საკარაულოდ, 2009 წელს მიიღებენ.

**ტექნიკური მახასიათებლები**

მოდიფიკაცია — **Cy-33**  
 ფრთის გაქანა: გაშლილი მდგომარეობაში — 14,7 მ  
 ავეცილ მდგომარეობაში — 7,4 მ  
 ფრთის ფართობი — 62,04 მ<sup>2</sup>  
 თვითმფრინავის: სიგრძე — 21,19 მ  
 სიმაღლე — 5,73 მ  
 წონა: ცარილის — 18000 კგ  
 ნორმალური ასაფრენი — 22500 კგ  
 მაქსიმალური ასაფრენი — 33000 კგ  
 საწვავის წონა — 9400 კგ  
 ძრავის ტიპი — 2xAL-31F  
 წვევა: მაქსიმალური — 2x7600 კგ/კალა



დღესითვის **სუ-35**  
 ერთადერთი სერიული რუსული საგემბანი გამანადგურებელი.

ფორსაჟე — 2x12500 კგ/კალა  
 მაქსიმალური სიჩქარე: მიწასთან — 1500 კმ/სთ  
 სიმაღლე — 2300 კმ/სთ  
 მაქსიმალური სწრაფადმავლობა — 19500 მ/წთ  
 პრაქტიკული ჭერი — 17000 მ  
 ფრენის მანძილი — 3000 კმ  
 ეკიპაჟი — 1 კაცი  
 შეიარაღება — შეტავის: ერთი 30 მმ-იანი ქვეყეხი **ГШ-301**, საბრძოლო კომპლექტი — 150 ტურვი.  
 გარე: საბრძოლო დატვირთვა

12 საკიდზე 6500კგ-ის თვითფრინავის შეიარაღებაში შედის მართვადი „პაერი-პაერი“ კლასის რაკეტები: **P-27პ, P-27პТ, P-27Т, P-73**. მართვადი გემთსანიანაღმდეგო რაკეტები: **X-35** და ზებტერიითი **X-41** **Москит**, მოქმედების რადიუსით 250კმ. გარდა ამისა, თვითმფრინავს შეუძლია ბორტზე აიღოს კონტეინერები უმართავი საავიაციო რაკეტებითა და სხვადასხვა ტიპის ავიაბომბები.

**МиГ-31 შორი მოქმედების გამანადგურებელ-გზაგადაკვეთი**



1968 წელს მიქოიანის საკონსტრუქტორო ბურომ ქვეყნის პაერსაინაღმდეგო თავდაცვის საავიაციო ნაწილის მთავარი შემადგენელი კომპონენტის — გამანადგურებელ **МиГ-25**-ის მოდერნიზაცია დაიწყო. მის მთავარ მიზანს თვითმფრინავზე ფაზირებულცხარაიანი რადიოლოკაციური სადგურის დაყენება წარმოადგენდა (**МиГ-31** მსოფლიოში პირველი თვითმფრინავი იყო, რომელზეც ასეთი ტიპის რადიოლოკაციური სადგური დაყენდა). როგორც აღინიშნა, **МиГ-31** **МиГ-25**-ის ბაზაზე იქმნებოდა. თუმცა გამანად-

გურების სისტემების გართულების გამო კონსტრუქტორებმა მისი ეკიპაჟის შემადგენლობაში მთავრ წევრი — შეიარაღების სისტემის ოპერატორი შეიყვანეს, მაგრამ ამ ორ თვითმფრინავს შორის მსგავსება (მათ შორის ვიზუალური) მაინც არის.  
**МиГ-31** პირველად 1975 წლის 16 სექტემბერს აფრინდა. 1977-ში კი ის გორკის საავიაციო ქარხანაში სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს. მალევე ახალი გამანადგურებლის მიღება სამხედრო ნაწილებმა დაიწვეს, რომელთაგანაც პირველი 786-ე საგამანადგურებლო ავიაპოლ-

კი იყო. უკვე სერიული წარმოების პროცესში, თვითმფრინავის მოქმედების რადიუსის გასარდელად, მასზე პაერში საწვავით გამართვის სისტემა დაინტეგრირდა, რამაც მოდიფიკაცია **МиГ-31Б**-ის შექმნა განაპირობა.  
 ძლიერი რადიოლოკაციური სადგურის წყალბოთი **МиГ-31**-ს „გამანადგურებლის“ კლასის სამიზნის აღმოჩენა 180, მისე ავტომატური გაცილება კი 120 კმ-ის დისტანციამ შეუძლია. მოდერნიზებულ **МиГ-31БМ**-ზე, რომელსაც რადიოლოკაციურ სადგურებთანაც შეუძლია ბრძოლა, სამიზნის აღმოჩენის მან-



საარსებო  
სამხედრო

**არსენალი**





**ტაქტიკურ-ტექნიკური  
მახასიათალები**

მოდიფიკაცია — მიგ-31БМ  
ფრთის გაქანი — 13,46 მ  
ფრთის ფართობი — 61,6 მ<sup>2</sup>  
თვითმფრინავის სიგრძე — 22,67 მ  
სიმაღლე — 6,1 მ  
წონა: ცარიელის — 21825 კგ  
ნორმალური ასაფრენი — 42400 კგ  
მაქსიმალური ასაფრენი — 48200 კგ  
ძრავის ტიპი — 2xД-30Ф-6М  
წევა: მაქსიმალური — 2x10500 კგ/ძალა  
ფორსაჟე — 2x16500 კგ/ძალა  
მაქსიმალური სიჩქარე: მიწასთან — 1500 კმ/სთ  
სიმაღლეზე — 3000 კმ/სთ  
კრეიფერული სიჩქარე — 2450 კმ/სთ  
პრაქტიკული ჭერი — 20000 მ  
ფრენის მანძილი — ბგერამდელი სიჩქარით დამატებითი ავზების გარეშე 2240 კმ  
ბარაფირების ხანგრძლივობა სანავიგის ერთი დამატებითი - 7 სთ  
ეკიპაჟი — 2 კაცი  
შეიარაღება — შიგთავსა: ერთი ექვსლულის 23 მმ-იანი ქვემეხი □□-23-6. საბრძოლო კომპლექტი — 260 ჭურვი.  
გარე: ოთხი „პაერი-პაერი“ კლასის მართვადი რაკეტა P-33, ამდენივე P-77 და ორი P-40ТД. ორი „პაერი-ზედაპირი“ კლასის მართვადი ტაქტიკური რაკეტა X-29Т, X-59. ან ამდენივე რადიოლოკაციურსანი-ნაამდგომ X-31П.

ძილი 320კმ-მდე გაზრდილი. სამიზნის განადგურების მაქსიმალურ მანძილზე თვითმფრინავი მოწინააღმდეგე P-33-ის ტიპის რაკეტით ანადგურებს, რომლის ფრენის მანძილიც 120კმ-ია. თავად თვითმფრინავს კი ერთდროულად რამდენიმე თვითმფრინავისკენ შეუძლია რაკეტების გაშვება (მიგ-31БМ-ზე — 10 სამიზნისკენ). ოთხი მიგ-31-ისგან შემდგარი ჯგუფი ფრონტის მიხედვით 800-900კმ-ის გაჭიმულობის საჰაერო სერტეს თავისუფლად აკონტროლებს. დღეისთვის მიგ-31 მსოფლიოში ყველაზე სწრაფი სერიული სამხედრო

თვითმფრინავია. თვითმფრინავის სერიული წარმოება 1994 წელს დაახლოებით 500 მიგ-31-ის გამოშვებით დასრულდა. დღეისთვის 43 თვითმფრინავი ყაზახეთის შეიარაღებაშია, რუსეთს კი სხვადასხვა მოდიფიკაციის დაახლოებით 250 მიგ-31 ჰყავს, რომლებიც 7 ავიაციულ კოარონან განაწილებული (აეროდრომები — ჩუკუევკა, კანსკი, სუაბა, დიდი სეინი, ზოტბილო, ელიზოლი). აგრეთვე რამდენიმე ათეული მანქანა საფრენოსნო შემადგენლობის გადამზადების 148-ე ცენტრშია (ავიამზა სვასლეიკა).

**მთლიანობაში 500-მდე მიგ-31-ია გამოშვებული. აქედან 43 თვითმფრინავი ყაზახეთის შეიარაღებაშია, 250-მდე კი ჩვენი მეზობლის**



დღევანდელი დღისთვის მიგ-31 მსოფლიოში ყველაზე სწრაფი სერიული გამანადგურებელია — მისი მაქსიმალური სიჩქარე 3000კმ/სთ-ია





# მოგავალი თაობა

1997 წლის 25 სექტემბერს პირველად აფრინდა პირველი რუსული ექსპერიმენტული მებრუნე თაობის გამანადგურებელი Cy-47 Беркут. შესაძლოა, ამ ფაქტს ასე დიდი ყურადღება არც მიეპყრო, რომ არა თვითმფრინავის, რომელიც Cy-27-ის ბაზაზე შეიქმნა, უჩვეულო იერი. ყველა ის დანარჩენი თვითმფრინავისგან ფრთის უარყოფითი ისრისებურობით გამოირჩევა. ამ ტიპის ფრთის გამოყენება საფრენ აპარატს უნიკალურ საფრენოსნო მახასიათებლებსა და სამანევრო შესაძლებლობებს ანიჭებს. თუმცა აქვე უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ რუს კონსტრუქტორებს ახალი ველოსიპედი არ გამოუგონებიათ — ჯერ კიდევ 40-იან წლებში მესამე რაიხის ინჟინრებმა შექმნეს პირველი თვითმფრინავი უარყოფითი ისრისებურობის



**Cy-27-ის ბაზაზე შექმნილი Cy-47 დღეისთვის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური გარეგნობის გამანადგურებელია.**

ფრთით Ju-287, რომელიც პირველად 1944 წელს აფრინდა. შემდგომში ეს მანქანა ხელთ საბჭოთა მეცნიერებმა ჩაიგდეს და მასში ჩადებული იდეის განვითარებით Cy-47 მიიღეს. სხვათა შორის, ანალოგიური თვითმფრინავის პროექტი X-29 ამერიკელებსაც ჰქონდათ, მაგრამ 1991 წელს პროექტი დაიხურა.

Cy-47-ის გამოჩენასთან ერთად რუსეთში მის სერიულ წარმოებაზე დაიწყო ლაპარაკი, თუმცა ეს ილუზია იყო. Cy-47 ექსპერიმენტული მანქანაა, რომელზე მომავალი სერიული მებრუნე თაობის გამანადგურებლის შექმნისთვის საჭირო ყველა სახელე იცდებოდა. დღეისთვის ამ თვითმფრინავის ერთადერთი ფეხმძლავრია და ისიც არასაშტატო





კონსერვებულია. ამის მიზეზი არის უკვე აღვსილი ვაზონების დასრულება, თუმცა ზოგიერთი რუსული წყაროს თანახმად, ფინანსურ პრობლემებთან ერთად პროექტი Cy-47-ის სასარგებლოდ დახურეს.

როგორც ჩანს, რუსეთის საგამანდგურებლო ავიაციის მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია. დღეისთვის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს იმედს პროექტ **ПАК ФА-ის** („ნაკეთიბა 70“) მიხედვით შექმნილი მეზუთე თაობის გამანდგურებელი წარმოდგენს, რომელიც ორ – სახმელეთო და საგემბანო ვარიანტად იქნება. ყუველგვარი ინფორმაცია, რომელიც ამ თვითმფრინავს შეეხება, გასაიდუმლოებულია, თუმცა გაერთიანებული საავიაციო კორპორაციის პრეზიდენტ ალექსეი ფედორო-

ძრავებითა და რადიოელექტრონული აღჭურვილობის სრული კომპლექტის გარეშე დაფრინავს. შენდებოდა მისი მეორე ვებეკლარიც, მაგრამ ახლა ის დაკონსერვებულია.

მეორე რუსული მეზუთე თაობის გამანდგურებელი **МФИ** მეორენაირად „პროექტი 1.44“, მიჰიანის საკონსტრუქტორო ბიუროშია შექმნილი. მასზე მუშაობა 1986 წელს დაიწყო, ის ამერიკული F-22-ის საპასუხოდ იქმნებოდა. შესაბამისად, ნაკლებშემწნევალობის მისაღწევად მისი უმეტესწილად კომპოზიციური მასალებიდან შესრულებული შემონაკერია, „სტელისის“ ტექნოლოგიების გამოყენებით იყო შესრულებული.

1999 წლის 12 იანვარს თვითმფრინავი პირველად წარუდგინეს ფართო პუბლიკას, 2000 წლის 29 თებერვლს კი პირველად აფრინდა ჰაერში.

დღეისთვის „პროექტი 1.44“-ის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, რადგან თვითმფრინავი არც ერთ ავიაგამოფენაზე არ წარუდგენიათ ცნობილია მხოლოდ მისი მიახლოებული საფრენონსონი მახასიათებლები და მისი ძალური დანადგარი, რომელიც ცვლად-



ასე გამოიყურება ახალი რუსული მეზუთე თაობის გამანდგურებელი, რომელიც საავიაციოდ 2009 წელს აფრინდება.

და წვეის ვექტორის მქონე ძრავებისგან, **А1-41Ф**-ისგან შედგება.

დღეს პროექტი, რომლის მიხედვითაც იქმნებოდა ეს თვითმფრინავი, და-

ვის განცხადებით, თვითმფრინავის პირველი გაფრენა 2009 წელს შედგება.

*თიბურ კულუბაშვილი*



**თვითმფრინავი МФИ საკმაოდ წარმატებული, იყო, თუმცა დღეისთვის მისი შექმნის პროექტი დახურულია.**



„არსენალი“ ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-VI სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტყვედია, რუბრიკა გაგრძელდება იბეჭდება.

# კავალერიის როლი შუა საუკუნეებში

## გაგრძელება

ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განვითარებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განმსაზღვრავს მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შეზღუდვებით ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამოდგებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა.

ისა თუ ბრძანების გასაცემად სავეირო გამოიყენებოდა. სავეირებს შვიდმართა გასამხრეველადაც ახმანებდნენ, მაგრამ მხოლოდ ეს არ ყოფილა მათი დანიშნულება. დაფაფებით მტერს აფრთხობდნენ და ბრძოლის დაწყების იწინას იძლეოდნენ. ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც ცალკეული რაზმის, ასევე მთავარსარდლის დროშაც, მედროშეს სპეციალური დაცვა ჰქონდა მიწინაი, რადგან ორჯე ხელი დაკავებული ჰქონდა (ერთ ხელში ცხენის სადავეები ეჭირა, მეორეში კი ხენიორის შტაბი (არტი) და ბრძოლა არ შეეძლო. დროშის რაღად გამოყენება სასტიკად იყო აკრძალული, რადგან მის დაზიანებას ან დაკარგვას არმიის დანეწულობა და მარცხი შეიძლებოდა გამოეწვია. არსებობდა სათადარიგო დროშაც.

შესაძლოა, უახლესი ტექნოლოგიებით განვითარებულ თანამედროვე ადამიანს პრინციპულად ეჩვენებოდეს ყველა ის საკითხი, რომელზეც ამ რუბრიკაში ვეისაუბრია, მაგრამ არ უნდა დაგვიწყდეს, რომ შუა საუკუნეებსა და XXI საუკუნეს შორის სხვაობას ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი — ტექნიკური განვითარება განაპირობებს. აქედან გამომდინარე, მათი სამხედრო მნიშვნეობა და პრიორიტეტები სხვაგვარია იყო.

შუა საუკუნეებში სტრატეგიებისათვის უცნობი იყო ტექნოლოგიური პაექობა. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია, რომელიც ჩვენსა და რაინდა ეპიკოს ერთმანეთისაგან მიჯნავს. მეორე მსოფლიო ომის დროიდან დაწყებული ტექნიკური ინოვაციების მოპოვებისათვის ბრძოლა დღეს განვითარებული მსოფლიოს სინდრომად იქცა. იფიქრე შეიმჩნევა შუა საუკუნეების სამხედრო საქმეშიც, მა-



ნორმანი რაინდი

სავეირო მშვერავების მოვალეობას შუა საუკუნეებში ხშირად მსუბუქედ აღჭურვილი მხედარი მეომრები ასრულებდნენ. მათვე იყენებდნენ შიკრიკებად, რადგან მსტორია ინსტიტუტი და ინფორმაციის მიწოდების უწყვეტი საშუალება რომის იმპერიის დროსაც არ არსებობდა.

ცნობის დანიშნულების ადგილამდე მტანად მხედრის სისწრაფეზე იყო დამოკიდებული. მხედარი, საუკეთესო შემთხვევაში, რამდენიმე ცხენის გამოცვლას ახერხებდა, არადა, ხანგრძლივი შესვენებები უწყვედა.

ახლო აღმოსავლეთში მაჰმადიანები, ახლანდელ იმპერატორში მცხოვრებ ქრისტიანებზე, ინფორმაციას საფორტო მტრედებით გზავნიდნენ. სხვადასხვა რეგიონში პირობითი შუქურ სიგნალებს იყენებდნენ. მაგალითად, XII საუკუნის ქრისტიანულ ტრანსიორდანიასში რომაელების შემოსვლით გაპარებათა ქსელი უახლესი ცნობებს ცეცხლის მუშეობით ვერცხვებდა.

შედარებით მოკლე მანძილებზე, მაგალითად, ბრძოლის ველზე, ინფორმაცი-

გრამ ჩვენი დროისაგან განსხვავებით, მხარეები ერთმანეთს, ძირითადად, ტაქტიკურ და სტრატეგიულ საკითხებში ეჯიბრებოდნენ. ერთი არმიის ახალი გამოცდლება მოწინააღმდეგის ჯარშიც სწრაფად იხერებოდა, მაგრამ ასეთი ინოვაციები ინოვაციამდე ათეულიობით წელი გადიოდა.

ვეროპაში ინოვაციურობით ერთ-ერთი ველაზე გამორჩეული ნორმანები იყვნენ. მათ ჩრდილის დაცემის მიხედვით ფართობის გამოთვლის ხეხი შეიმუშავეს, რისი დახმარებითაც უცხო ტერიტორიებს თითქმის ყოველთვის შეუმჩნეველად ეხსობდნენ თავს. შემოტყვებისაგან მოქრებებული ინგლისი ტაქტიკური და სტრატეგიული საშუალებებით უპირისპირდებოდა მათ და





ალფრედ დიდი

იმ დროს, როდესაც სასულიერო პირები ლოცვით ცდილობდნენ მტრისაგან საშობლოს დაცვას, გიხიერი მონარქები — ისეთები, როგორებიც იყვნენ ალფრედ დიდი და ბრიტანოუსი — ამაგრებდნენ მთავარ ქალაქებს, აშენებდნენ ციხეებს და ადგილობრივ ერლებს აბარებდნენ. აგებდნენ და ამლიერებდნენ ფლოტს, რომელსაც სირვევიელი რეიდერებისათვის წინააღმდეგობა უნდა გაეწია. მართალია, ალფრედი ფლოტი დიდ წინააღმდეგობას ვერ უწევდა მომხდურებს, მაგრამ საშუალებას აძლევდა მათთვის უკან დასახევი ვაჭა გადაეღობა და ზიანი მიეყენებინა. ვაჭინგებისაგან თუდასაცუად საგანგებოდ აგებული ფორტიფიკაციები მტერს მანევრირების საშუალებას უზღოვებდა, ადგილობრივი რაზმეულები კი ნაპირზე გადმოსხდარ ყაჩაღებს იგერიებდნენ. რომ არა ალფრედის მხედართმთავრული და ორგანიზატორული ნიჭი, რასაც არაერთი გამარჯვება მოუტანია, შესაძლოა, ინგლისის ისტორია სულ სხვაგვარად წარმართულიყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამარჯვება მან 871 წელს აშდაუნთან ბრძოლაში მოიპოვა, მაგრამ ამით ბარბაროსთა შემოსევები არ შეწყვეტილა. ინგლისს კიდევ დიდხანს უწევდა ნორმანების, დანიელებისა და სხვათა მოგერიება.

საქსებმა მათთან მრავალწლიანი ბრძოლაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება 1066 წელს, ასტინგზის ბრძოლაში მოიპოვეს. ბრძოლის წინ

საქსების კარგად მომზადებული და ორივე ფლანგიდან დაცული რაზმეულები ფერდობზე განლაგდნენ. მათ, წყულებისაკებრ ფარების კედელი აღმართეს. ნორმანებს ასეთი შემთხვევებისათვის მომარაგებული ჰქონდათ ერთი-ორი „რეტკობი“. ფარების კედლის გასარდღევად ისინი უმეტესწილად მოქვენებით უკუქცევის ფანდს ან დისტანციურ იარაღს — შვილდ-ისარს იყენებდნენ. იყო გამონაკლისი შემთხვევებიც: მაგალითად, იტალიაში, როდესაც მათ გამარჯვება კავალერიის ძლიერმა იერიშმა მოუტანა. 1053 წელს ქალაქ ჩივიტატიესთან გამართულ ბრძოლაში ნორმანი რაინდების პირველივე დარტყმამ პაპის მთელი არმია გაანადგურა, რომელიც ლომბარდიელების მხედრობას და შვაბების ქვეითებისაგან შედგებოდა. ამ ტაქტიკამ ბიზანტიელებთან მონტე-მაჯორესთან 1041 წელს გამართულ ბრძოლაშიც გამართლდა. 700 ნორმანი რაინდისა და 1300 ქვეითისგან შედგარი ლაშქარი მთელი ძალით ეკუთვნა მტერს. ბიზანტიელების მრავალრიცხოვანი არმია ორივედ იყო დაწყობილი. ნორმანების მიერ პირველი რიგის გარდღევის შემდეგ მოწინააღმდეგევე უკან დაიხია და აურზაურში თანამებრძოლთა მთავრე რიგი გადათქა. ბიზანტია შორის, მანამდე ნორმანები ბიზანტიელებთან დაქირავებული ჯარის სახით მსახურობდნენ და კარგად იცოდნენ მათი დღემითი და უარყოფითი მხარეები.

მაჰმადიანთა არმიებსაც უწევდათ ესპანეთში რაინდების მოსაგერიებელი სხვადასხვა საშუალების გამოყენება. ნორმანებისაგან განსხვავებით ისინი დიდი ქვეითი „კარების“ საშუალებით გზას უღობაუდნენ მტერს და მოიერიშებს დისტანციური იარაღით უპირისპირდებოდნენ. ამასობაში მაჰმადიანთა მსუბუქი კავალერია მტრისათვის გვერდის შემოვლას ცდილობდა და ფლანგიდან ან შურგიდან უტეფდა. მაგალითად, 1195 წელს ალარკოსთან შეტაკებაში ალფონსო VIII კასტილიელის ჯარმა მაჰმადიანებს შეუტია და ფეხოსნების რიგები გაარღვია, მაგრამ მალე მთავრე ქვეითთა ეშელონის ალყაში მოექცა, რომელსაც ფლანგებიდან მოიერიშე ტენოსნებიც დაემატნენ. პირველი ეშელონის გადარეხილი ფეხოსნები კვლავ ბრძოლაში ჩაებნენ და დიდი დარტყმა მიაყენეს, შეუიარაღეს. როგორც სხვა შემთხვევებში, ახლაც რაინდებს საიმედო თავდაცვითა შეი-

არალებამ — მიმე მუხარადებმა უნტუნა. მათი გამოისობით რაინდებს ძალზე შეზღუდული ხელგადობის არაალი ჰქონდათ და ყოველი მხრიდან მტრით გარემორტყმულნი ძალზე მოწყვლადნი იყვნენ.

შუა საუკუნეებში ტექნიკური და რიცხობრივი უპირატესობა არ ყოფილა გამარჯვების საფუძველი. მაშინ და დღესაც გამარჯვების მნიშვნელოვანი ფაქტორს მხარეებს შორის არსებული სხვაობათა გონივრული გამოყენება წარმოადგენდა. ამ საიდუმლოს ძალზე კარგად ფლობდნენ მაღიარები, მაგრამ მისი გამოყენება ჰუნებს უფრო უკეთ გამოისილიათ. მაღიარები უპირატესობას მხედრულ მუხედლონისებს ანიჭებდნენ. ხშირად მუხედლონსაც იყენებდნენ. ჰუნები, რომლებმაც ვეროპა მაღიარებზე რამდენიმე საუკუნით ადრე დალაშქრეს, ვროპელებისაგან განსხვავებით მტერი იმყოფობათა და მცირე რაზმებით იბრძოდნენ. ბრძოლისას კი უპირატესობას ალყას ანიჭებდნენ. ხშირად იყენებდნენ მოქვენებით უკუქცევის ფანდსაც, რომელსაც მთელიდნული იერიში ცვლიდა. მტრის მჭედრო რიგების გასარღვევად და დასაქინად დისტანციურ იარაღს იყენებდნენ, გადამწყვეტ მომენტში კი დარტყმა ერთდროულად რამდენიმე წერტილზე მიჰქონდა, რათა მტერი მომენტალურად გაენადგურებინა. ამგვარმა ტაქტიკამ გამართლდა მდინარე ბრენტზე 899 წელს მომხდარ ბრძოლაში. დაახლოებით 5000 მაღიარ-



ერთი კვირის განმავლობაში გაუბროლა მდევარს — პერცოვ ბეურგარის კაუალერას, რომლებიც მოწინააღმდეგეთ სამჯერ აღმატებულდნენ. მადიარემა გადალაგეს ბრენტა, იშვე დაბანაკდნენ და მოწინააღმდეგეთთან მოლაპარაკება წამოიწყეს. მაღლ შეხვდნენ, რომ მოლაპარაკება ჩიხში შედიოდა და ამიტომაც მესილით მოქმედება ამკობინეს. ისარგებლეს ზავით, შემოახტნენ ცხენებს და იმ დროს შეუტყის ლომბარდლებს, როდესაც ისინი ისვენებდნენ და სადილობდნენ. შეტყეამ ლომბარდლები დაფართხო, გაანადგურა და გააქცია.

მჯობინს მჯობინ არ დაიღვევა და სწორედ ასე დაემართათ მადიარებსაც. ისინი 955 წელს 8000-9000-კაციანმა გერმანულთა ლაშქარში მარქოვში მოაქცია. მადიარები პირდაპირ ეკვეთნენ მტერს, მაგრამ ამაღ... ფლანგიდან დაწყებულ მცირე მანქერის შედეგად, ერთმა დანაყოფმა შეღო გერმანულთა რვა ლეგიონიდან ერთის შეტყეუება, მაგრამ მაინც მარცხი განიცადა.

**ბორბლაზუ მემბარო სინხ**

რელიგიურმა ფანატიზმმა და ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბებამ ბოჰემია 1420 წელს ე.წ. თაბორიტთა, ანუ ჰუსიტების (მათი ლიდერი იან ჰუსი 1415 წელს კოცონზე დაწვეს) მიმართობამდე მივიყვანა და უფროთის მეფის — სიგიზმუნდის, მოკავებით კი რომის იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებაში გადაიზარდა. მან სამხედრო საქმეში გამოუცდიელი ქალაქის მოსახლეობისა და გლეხობის წინააღმდეგ ფეოდალური რაზმეულების კარგად შეარადებული და გამოცდილი მებრძოლები გამოიყვანა, მაგრამ ისინი არ იყვნენ ერთიანი, რამაც პრობლემა შეუქმნა მეფის არმიას. აჯანყებულებს გამოცდილი მებრძოლი იან ფიჟაკ ხელმძღვანელობდა, რომელიც თავის დროზე პოლინელების მხარეს ტყვეთინთა ორდენს ებრძოდა. ფიჟაკმ მეფის არმიას ახალი ტაქტიკური მწყობრი დაუბრძოლა, რომელმაც გარკვეულწილად საფუძველი ჩაუყარა მოძავლის სამხედრო ტექნოლოგიებს. ამ ინოვაციას ისტორიკოსები „ბოჰემიური კარგის“ სახელით იცნობენ. სტეპების მომთაბარე ბინადრანი ზმირად თავიანთ ეტლებს ბანაკის გორშეშო აწეობდნენ, რითაც ერთგვარ მძიმე გამაგრებებს აკეთებდნენ. სწორედ ეს იდეა გამოიყენა იან ფიჟაკმ და კიდევ უფრო სრულყო.



იან ფიჟაკ

აჯანყებულთა ლიდერმა სწორედ ასეთ ეტლებზე თუ ურბებზე შეიშოვა მებრძოლები. ეტლებს ბორტების აწვეა „კეი-ბაჰს“ დამატებით თაქმსაფარს უქმნიდა და „ამბრაზურების“ საჭირო რაოდენობის წყალობით ცეცხლის წარმოების საშუალებას აძლევდა. ისინი ეტლებს ერთმანეთთან ვაჭვებით აბამდნენ, ხანდახან კი უფრო მეტი საიმედოობისათვის საშუალო ზომის ხის ბასრიბრანი წინაღობებს დგამდნენ.

ასეთი ფორტი (თაბორი) რომელიმე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პოზიციაზე ორი ნახევარსფეროს სახით მოწყობილია ხოლმე, სადაცაც მებრძოლები მომხდურებს იგერიებდნენ. თითოეულ ეტლებს მიამაგრებული იყო „კეი-ბაჰს“, რომელთა ნახევარს ჰქონდა არ-

ბალეტები, მოკვიანებით კი პრითმული მუშაკეტები. დანარჩენები ხელნართულ ბრილობას მართავდნენ ალუბარბლებს, შუბებითა და ვაჭვებით სანამ მოწინააღმდეგე თაბორს მიუახლოვდებოდა, მსროლულები მას დისტანციიდან ანადგურებდნენ. როდესაც ისტების წვემას გადარჩენილი მტერი ეტლებამდე აღწევდა, თაბორიტები ბრიობაში ცივი იარაღით ერთგებოდნენ.

